პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მზრუნველთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 36-ე წელი № 100 (10494) | შაბათი, 28 აპრილი, 1956 წ. | ფასი 20 კაპ.

გაუმარჯოს და განმტკიცდეს მუშათა კლასისა და კოლმეურნე გლეხობის კავშირი
მუშათა კლასის ხელმძღვანელობით — საბჭოთა წყობილების ურყევი საფუძველი
გაუმარჯოს და აყვავდეს საბჭოთა კავშირის ხალხთა ძმური მეგობრობა — ჩვენი ქვეყნის
მრავალეროვანი სოციალისტური სახელმწიფოს ძალისა და ძლიერების წყარო!

(საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1956 წლის საპირველმაისო მოწოდებებიდან)

განცხადება

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ა. ბულგანინისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრის ნ. ს. ხრუშჩოვის და შეერთებული სამეფოს პრემიერ-მინისტრის სერ ანტონი იდენის მოლაპარაკების შესახებ

1956 წლის 18-დან 27 აპრილამდე სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ა. ბულგანინი და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი ნ. ს. ხრუშჩოვი იმყოფებოდნენ შეერთებულ სამეფოში მისი უდიდებულესობის მთავრობის მიწვევით. იქ ყოფნის დროს მათ მთელი რიგი საუბრები ჰქონდათ შეერთებული სამეფოს პრემიერ-მინისტრთან სერ ანტონი იდენთან, ბეჭდის მცველ ლორდთან ბ-ნ რ. ო. ბატლერთან, საგარეო საქმეთა მინისტრთან ბ-ნ სელვინ ლოიდთან და მისი უდიდებულესობის მთავრობის სხვა წევრებთან როგორც საბჭოთა კავშირ-ინგლისის ურთიერთობის საკითხზე, ისე მთლიანად საერთაშორისო ვითარების საკითხებზე. ამ მოლაპარაკებას ორივე მხარე აწარმოებდა გულახდილობისა და რეალიზმის სულისკვეთებით. შეეხნენ საერთაშორისო საკითხების უმრავლესობას, რომლებსაც აქტუალური მნიშვნელობა აქვთ, და მოხდა აზრთა სრული და სასარგებლო ურთიერთგაზიარება.

საბჭოთა კავშირისა და შეერთებული სამეფოს წარმომადგენლებმა აღიარეს, რომ საბჭოთა კავშირ-ინგლისის ურთიერთობის განმტკიცება პოლიტიკურ დარგში, ვაჭრობის, მეცნიერების, კულტურის და სხვა დარგებში შეესაბამება ორივე ქვეყნის ხალხთა ინტერესებს. ისინი აგრეთვე დარწმუნებული არიან, რომ ეს ხელს შეუწყობს საყოველთაო მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცებას.

მათ გამოთქვეს თავიანთ მთავრობათა მისწრაფება ხელი შეუწყონ საერთაშორისო დაძაბულობის შემდგომ შენელებას. მიიღეს რა მხედველობაში ამჟამად არსებული მდგომარეობა, როცა სახელმწიფოთა შორის საჭირო ნდობა არ არის, მათ გამოთქვეს მისწრაფება ყოველი ღონისძიებით შეუწყონ ხელი სახელმწიფოთა შორის ურთიერთ ნდობის განმტკიცებას და ურთიერთობის გაუმჯობესებას. ისინი აღიარებენ, რომ საერთაშორისო ნდობის განმტკიცების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საშუალებაა ხელმძღვანელ მოღვაწეთა პირადი კონტაქტები, რასაც თავისი დადებითი შედეგები მოჰყვა.

ორივე ქვეყანა თავის ურთიერთობაში, აგრეთვე სხვა სახელმწიფოებთან ურთიერთობაში იხელმძღვანელებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პრინციპებით. ისინი დარწმუნებული არიან, რომ საფუძველს ყველა სახელმწიფოს მეგობრული თანამშრომლობისა და მშვიდობიანი თანაარსებობისათვის, მიუხედავად მათი საზოგადოებრივი სისტემებისა, წარმოადგენს ეროვნული დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის პატივისცემა, ტერიტორიული მთლიანობა და ერთმანეთის საშინაო საქმეებში ჩაურევლობა.

ისინი გააკეთებენ ყოველივეს, რაც მათზეა დამოკიდებული, რომ ბოლო მოეღოს გამალებულ შეიარაღებას მსოფლიოს ყველა ნაწილში და ამით ხალხები განთავისუფლდნენ ახალი ომის საფრთხისაგან.

ორივე ქვეყნის წარმომადგენლები განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ ევროპის უშიშროების უზრუნველყოფის საკითხს, ითვალისწინებენ რა, რომ ევროპის მშვიდობასა და უშიშროებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს საყოველთაო მშვიდობის შენარჩუნებისათვის. მაგრამ შეთანხმება ამ მიზნის განხორციელების საშუალებებზე მიღწეული არ ყოფილა.

რაც შეეხება სხვა გადაუჭრელ საერთაშორისო პრობლემებს, მათ შორის იმ პრობლემებს, რომლებიც ევროპასა და აზიას ეხება და რომლებზეც მოხდა აზრთა ურთიერთგაზიარება, ორივე მხარე ეცდება ხელი შეუწყოს მათს გადაჭრას საყოველთაო მშვიდობის განმტკიცების ინტერესებისათვის.

საბჭოთა კავშირისა და შეერთებული სამეფოს წარმომადგენლები მათ მიერ განხილულ ცალკეულ პრობლემებზე მივიდნენ შემდეგ დასკვნამდე.

ახლო და შუა აღმოსავლეთი

საბჭოთა კავშირსა და შეერთებულ სამეფოს მტკიცედ აქვთ განზრახული თავის მხრივ გააკეთონ ყოველივე შესაძლებელი, რათა ხელი შეუწყონ მშვიდობისა და უშიშროების დაცვას ახლო და შუა აღმოსავლეთში. ამ მიზნით ისინი საჭირო დახმარებას გაუწევენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ღონისძიებებს პალესტინის რაიონში მშვიდობის განმტკიცებასა და უშიშროების საბჭოს სათანადო გადაწყვეტილებათა შესრულებაში.

ორი ქვეყნის მთავრობებს მიაჩნიათ, რომ უახლოეს მომავალში ამ მიზნით მიღებულ უნდა იქნას ეფექტიანი ღონისძიებანი დაინტერესებული ხალხების ეროვნულ მისწრაფებათა. მათი დამოუკიდებლობის უზრუნველყოფის საჭიროების შესაბამისად და იმ პრინციპების სრული შესაბამისობით, რომლებიც გამოხატულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებით.

ორი ქვეყნის მთავრობები მოუწოდებენ დაინტერესებულ სახელმწიფოებს — მიიღონ ღონისძიებანი, რათა თავიდან აცილებულ იქნას დაძაბულობის გამწვავება იმ სადემარკაციო ხაზის რაიონში, რომელიც ისრაელსა და არაბთა სახელმწიფოებს შორის დაწესებულია დაზავების შესახებ სათანადო შეთანხმების მიხედვით.

ისინი აგრეთვე მხარს დაუჭერენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ინიციატივას, მიმართულს არაბთა სახელმწიფოებსა და ისრაელს შორის სადავო საკითხების ურთიერთმისაღებ საფუძველზე მშვიდობიანი მოწესრიგების უზრუნველყოფისაკენ.

ისინი აღიარებენ ლტოლვილთა პრობლემის მნიშვნელობას და შესაბამისად მხარს დაუჭერენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მოქმედებას, მიმართულს ლტოლვილთა მძიმე მდგომარეობის გაუმჯობესებისაკენ.

ორი ქვეყნის მთავრობები გამოთქვამენ მტკიცე იმედს, რომ სხვა სახელმწიფოები აგრეთვე გააკეთებენ ყოველივე შესაძლებელს, რათა დაეხმარონ გაერთიანებული ერების ორგანიზაციას არაბთა სახელმწიფოებსა და ისრაელს შორის სადავო საკითხების მშვიდობიანი გადაჭრის მიღწევასა და ახლო და შუა აღმოსავლეთში მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცებაში.

განიარაღების პრობლემა

აზრთა ურთიერთგაზიარების მსვლელობაში განხილულ იქნა განიარაღების პრობლემა. ორივე ქვეყნის წარმომადგენლებმა განიხილეს მდგომარეობა, რომელიც მიღწეულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ამ პრობლემის განხილვის მსვლელობაში, და წინადადებანი, რომლებიც დაინტერესებულმა სახელმწიფოებმა შეიტანეს. მიღწეულ იქნა შეთანხმება, რომ ამ პრობლემის გადაჭრას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ექნებოდა საყოველთაო მშვიდობის შენარჩუნებისათვის.

საბჭოთა კავშირის მთავრობა და შეერთებული სამეფოს მთავრობა დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ამ პრობლემაზე სათანადო საერთაშორისო შეთანხმების დადებას. ასეთი შეთანხმება ხელს შეუწყობდა საერთაშორისო დაძაბულობის შენელებას, სახელმწიფოთა შორის ნდობის გადიდებასა და სამხედრო ხარჯების ტვირთის შემსუბუქებას.

ორივე მთავრობა შეთანხმდა, რომ კაცობრიობის ხსნა ატომგულის ომის საფრთხისაგან განსაკუთრებით დიდმნიშვნელოვანი ამოცანაა. ატომგულის იარაღის საბოლოო აკრძალვა და ატომგულის ენერგიის გამოყენება მხოლოდ და მხოლოდ მშვიდობიანი საჭიროებებისათვის კვლავ მათი საერთო მიზანია, და ისინი განაგრძობენ ღონისძიებებს ამის მიღწევისათვის.

საბჭოთა კავშირისა და შეერთებული სამეფოს მთავრობები აღიარებენ, რომ საჭიროა მიღწეულ იქნას შეთანხმება, რომ დაუყოვნებლივ გადაიდგას პრაქტიკული ნაბიჯები, რათა სათანადო საერთაშორისო კონტროლით არსებითად შემცირდეს სახელმწიფოთა შეიარაღებული ძალები, შესაბამისად შემცირდეს შეიარაღება და, უწინარეს ყოვლისა, შემცირდეს ხუთი დიდი სახელმწიფოს შეიარაღებული ძალები და შეიარაღება.

ორივე ქვეყნის მთავრობები განაგრძობენ ღონისძიებებს, რათა ხელი შეუწყონ გაერთიანებული ერების ორგანიზაციასა და განიარაღების ქვეკომიტეტში დაინტერესებულ სახელმწიფოთა შორის ამ საკითხზე საჭირო შეთანხმებას.

საბჭოთა კავშირ-ბრიტანეთის სავაჭრო ურთიერთობის განვითარება

განხილულ იქნა აგრეთვე საკითხები, რომლებიც ეხება სსრ კავშირსა და შეერთებული სამეფოს შორის ვაჭრობის შემდგომ განვითარებას.

ორივე ქვეყნის წარმომადგენლები შეთანხმდნენ, რომ სსრ კავშირსა და შეერთებულ სამეფოს შორის ვაჭრობის განვითარებას შეუძლია დიდი წვლილი შეიტანოს ორივე ქვეყანას შორის უფრო მჭიდრო ურთიერთობის შექმნის საქმეში. ეს ხელს შეუწყობდა ორივე ქვეყნის საწარმოო შესაძლებლობათა უფრო რაციონალურად გამოყენებას და სტიმულს მისცემდა ვაჭრობას აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის.

განხილვის მსვლელობაში საბჭოთა კავშირის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ საბჭოთა მთავრობა მზად არის მნიშვნელოვნად გააფართოოს ვაჭრობა შეერთებულ სამეფოსთან. ბრიტანეთის წარმომადგენლებმა აგრეთვე განაცხადეს, რომ სურთ გააფართოონ ეს ვაჭრობა.

საბჭოთა კავშირის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ, თუ არ იქნება შეზღუდვა და დისკრიმინაცია ვაჭრობაში, საბჭოთა კავშირს შეუძლია უახლოეს ხუთ წელიწადში, 1956 წლიდან 1960 წლამდე, გაადიდოს შესყიდვები შეერთებულ სამეფოში დაახლოებით 9-11 მილიარდ მანეთამდე, ე. ი. 800-1.000 მილიონ გირვანქა სტერლინგამდე, აქედან გაანაწილონ დაკვეთები სხვადასხვა მოწყობილობასა და გემებზე დაახლოებით 4-5 მილიარდ მანეთისა და სამრეწველო და ნედლეულის საქონლის ფართო სიით შესყიდვა დაახლოებით 5-6 მილიარდი მანეთის რაოდენობით. შეერთებული სამეფოს წარმომადგენლებს გადაეცათ მანქანების, მოწყობილობისა და გემების დაწვრილებითი სია, რომლებიც შეიძლებოდა საბჭოთა ორგანიზაციებს დაეკვეთათ შეერთებულ სამეფოში.

შეერთებული სამეფოს წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ ამ სიაში შეტანილი საქონლის ნაწილზე გავრცელდება არსებული სტრატეგიული კონტროლის მოქმედება. ამასთან ერთად საქონლისა და ნედლეული მასალების მნიშვნელოვანი ნაწილი აღნიშნული სიიდან თავისუფალია შეზღუდვებისაგან და არსებობს ვაჭრობის გადიდების სათანადო შესაძლებლობანი.

საბჭოთა მთავრობის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ შეერთებულ სამეფოში მანქანების, მოწყობილობისა და გემების საბჭოთა დაკვეთების დასახული გადიდება, ისე როგორც ნედლეული და სამრეწველო საქონლის შესყიდვის გადიდება იმას გამოიწვევს, რომ საბჭოთა კავშირისათვის საჭირო იქნება გაადიდოს ამონაგები გირვანქა სტერლინგებით სსრ კავშირიდან ექსპორტის სათანადო გადიდების საშუალებით, ხოლო შეერთებული სამეფოს წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ ბრიტანეთის ბაზარი ღიაა საბჭოთა ექსპორტის საქონლის ფართო წრისათვის. ორივე მთავრობის წარმომადგენლები ზემოაღნიშნულ მოსაზრებათა საფუძველზე შეთანხმდნენ, რომ ბრიტანეთის მხარე შემდგომ შეისწავლის ზემოაღნიშნულ სიას საბჭოთა კავშირის ტექნიკური ექსპერტების დახმარებით.

ისინი აგრეთვე შეთანხმდნენ სამომხმარებლო საქონლის გაცვლის საკითხის შემდგომი შესწავლისა და მყიდველთა და გამყიდველთა შორის კონტაქტების გაადვილების შესახებ.

კულტურული და სხვა ურთიერთობა

საბჭოთა კავშირისა და შეერთებული სამეფოს წარმომადგენლებმა აგრეთვე განიხილეს კულტურული და სხვა ურთიერთობის განვითარების პრობლემა. მათ მიიღეს ერთობლივი განცხადება ამ საკითხზე, რომელიც ცალკე ქვეყნდება როგორც დანართი.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე
ნ. ა. ბულგანინი

შეერთებული სამეფოს პრემიერ-მინისტრი
ანტონი იდენი

ლონდონი, 1956 წლის 26 აპრილი.

ხელი მოაწერეს განცხადებას საბჭოთა კავშირისა და შეერთებული სამეფოს წარმომადგენლების შორის მოლაპარაკების შესახებ

ლონდონი, 26 აპრილი. (საკდესის სპეც. კორ.). დღეს ინგლისის საგარეო საქმეთა სამინისტროს შენობაში 23 საათზე ადგილობრივი დროით ხელი მოაწერეს განცხადებას სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ა. ბულგანინისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრის ნ. ს. ხრუშჩოვის და შეერთებული სამეფოს პრემიერ-მინისტრ სერ ანტონი იდენის მოლაპარაკების შესახებ.

საბჭოთა კავშირის მთავრობის სახელით განცხადებას ხელი მოაწერა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ა. ბულგანინმა, შეერთებული სამეფოს მთავრობის სახელით — პრემიერ-მინისტრმა სერ ანტონი იდენმა.

განცხადების ხელმოწერას დაესწრნენ საბჭოთა კავშირის მხრივ — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი ნ. ს. ხრუშჩოვი, კულტურის მინისტრი ნ. ა. მიხაილოვი, საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე ა. ა. გრომიკო, სსრ კავშირის ელჩი დიდ ბრიტანეთში ი. ა. მალიკი, საგარეო ვაჭრობის მინისტრის მოადგილე პ. ნ. კუმიკინი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს კოლეგიის წევრი ლ. თ. ილიჩოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს ევროპის მე-2 განყოფილების გამგე ვ. ი. ეროფეევი, სსრ კავშირის სავაჭრო წარმომადგენელი დიდ ბრიტანეთში ვ. ა. კამენსკი, აკადემიკოსები ი. ვ. კურჩატოვი და ა. ნ. ტუპოლევი.

ინგლისის მხრივ — ლორდი ბეჭდის მცველი რ. ბატლერი, საგარეო საქმეთა მინისტრი სელვინ ლოიდი, საგარეო საქმეთა სახელმწიფო მინისტრი ლორდი რედინგი, დიდი ბრიტანეთის ელჩი სსრ კავშირში უ. ჰეიტერი და ინგლისის საგარეო საქმეთა სამინისტროს სხვა წარმომადგენლები.

ხელი მოაწერეს რა განცხადებას, ნ. ა. ბულგანინმა, ანტონი იდენმა, სელვინ ლოიდმა და ნ. ს. ხრუშჩოვმა ხელი ჩამოართვეს ერთმანეთს.

საბჭოთა კავშირისა და შეერთებული სამეფოს წარმომადგენლებს შორის მოლაპარაკების შესახებ განცხადების ხელმოწერას ესწრებოდა ინგლისისა და უცხოეთის პრესის, რადიოსა და კინოქრონიკის მრავალი წარმომადგენელი.

ნ. ა. ბულგანინი და ნ. ს. ხრუშჩოვი ინგლისში

პრესკონფერენცია სენტრალ-ჰოლში

ლონდონი, 27 აპრილი. (საკდესის სპეც. კორ.). დღეს დილით სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ა. ბულგანინი და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი ნ. ს. ხრუშჩოვი გამოვიდნენ პრესკონფერენციაზე პრესის წარმომადგენელთა წინაშე ლონდონის მიტინგებისა და კრებების ცნობილ დარბაზში სენტრალ-ჰოლში, ვესტმინსტერის საბატოს მახლობლად.

დარბაზში შეიკრიბა ინგლისისა და უცხოეთის პრესის, რადიოსა და კინოქრონიკის 400-მდე კორესპონდენტი. პრესკონფერენციას გადასცემდნენ ინგლისის ტელევიზიით.

შეკრებილნი ტაშით შეხვდნენ პრეზიდიუმის მაგიდასთან ნ. ა. ბულგანინისა და ნ. ს. ხრუშჩოვის გამოჩენას. პრესკონფერენციას დაესწრნენ აგრეთვე სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე ა. ა. გრომიკო, სსრ კავშირის ელჩი დიდ ბრიტანეთში ი. ა. მალიკი, საგარეო ვაჭრობის მინისტრის მოადგილე პ. ნ. კუმიკინი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს კოლეგიის წევრი ლ. თ. ილიჩოვი, აკადემიკოსები ი. ვ. კურჩატოვი და ა. ნ. ტუპოლევი და სხვა პირები, რომლებიც საბჭოთა ხელმძღვანელებს ახლავან მათს მოგზაურობაში.

პრესკონფერენცია დაიწყო 9 საათსა და 30 წუთზე. ნ. ა. ბულგანინმა პრესკონფერენციაზე გამოაქვეყნა საბჭოთა ხელმძღვანელების განცხადება, რომელიც დამსწრეებმა დიდი ყურადღებით მოისმინეს.

შემდეგ ნ. ა. ბულგანინმა და ნ. ს. ხრუშჩოვმა პასუხი გასცეს ჟურნალისტების კითხვებზე.

პრესკონფერენციის დამთავრების შემდეგ, რომელიც საათნახევარს გაგრძელდა, ნ. ა. ბულგანინი და ნ. ს. ხრუშჩოვი წავიდნენ ლონდონის ვიქტორიის ვაგზალში, სადაც მათ ელოდა პორტსმუტში მიმავალი სპეციალური მატარებელი.

სენტრალ-ჰოლიდან გამოსვლისას საბჭოთა ხელმძღვანელებს მიეესალმა მრავალი ლონდონელი. ვიქტორიის ვაგზლის წინ საბჭოთა სტუმრებს აგრეთვე მიესალმა ინგლისის დედაქალაქის მრავალი მცხოვრები.

გაცილება ლონდონში

ვიქტორიის ვაგზლის პერონზე ნ. ა. ბულგანინი და ნ. ს. ხრუშჩოვი გააცილა დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა სერმა ანტონი იდენმა. ისინი გააცილეს აგრეთვე საგარეო საქმეთა მინისტრმა სელვინ ლოიდმა, საზღვაო მინისტრმა (საადმირალოს პირველმა ლორდმა) ლორდმა კილკენინმა, საგარეო საქმეთა სახელმწიფო მინისტრმა ლორდმა რედინგმა, დიდი ბრიტანეთის ელჩმა სსრ კავშირში უ. ჰეიტერმა, დიპლომატიური კორპუსის მმასახლისმა ლონდონში ნორვეგიის ელჩმა პრებენსენმა. საბჭოთა კავშირის მხრივ გაცილებისას იყვნენ ის პირნი, რომლებიც საბჭოთა ხელმძღვანელებს ახლავან მათს მოგზაურობაში.

მიკროფონთან ნ. ა. ბულგანინმა გააკეთა მოკლე განცხადება.

ნ. ა. ბულგანინის განცხადება

ბ-ნო პრემიერ-მინისტრო, ბატონებო!

გულითად მადლობას გიძღვნით თქვენ, ბ-ნო პრემიერ-მინისტრო, და თქვენს კოლეგებს მთელი იმ ზრუნვისა და ყურადღებისათვის, რომლითაც გარემოსილი ვიყავით თქვენს სტუმართმოყვარე ქვეყანაში ყოფნის დროს. გმადლობთ ჩვენთან თანამშრომლობისათვის, რომელმაც კარგი შედეგები მოიტანა. მადლობას ვუძღვნით ყველა ჩვენს ინგლისელ მეგობარს, რომლებიც გულთბილად შეგვხვდნენ.

ჩვენი მოლაპარაკების შედეგად იქმნება ახალი პირობები ჩვენი სახელმწიფოების ურთიერთობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის. ისახება უფრო ფართო შესაძლებლობანი თანამშრომლობის განვითარებისათვის როგორც პოლიტიკურ, ისე ეკონომიურ დარგებში, კულტურული და მეცნიერული კავშირის განვითარებისათვის. ყველაზე ძვირფასი, რაც ჩვენს მოლაპარაკებას ახასიათებდა, იყო სულისკვეთება ნდობისა, რომელიც ესოდენ საჭიროა მოუწესრიგებელი საერთაშორისო პრობლემების გადასაწყვეტად.

ჩვენმა მოლაპარაკებამ ცხადყო, რომ საბჭოთა კავშირსა და დასავლეთის ქვეყნებს შორის შეიძლება მიღწეულ იქნას შეთანხმება მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპის ბაზაზე, რომ სხვადასხვა საზოგადოებრივი სისტემის მქონე სახელმწიფოებს შორის მშვიდობიანი თანაარსებობა არა თუ შესაძლებელია, არამედ საჭირო და სასარგებლოა ხალხებისათვის.

მშვიდობიანი თანაარსებობის კარგი საფუძველი შეიძლება იყოს აქტიური ეკონომიური თანამშრომლობა და ფართო ვაჭრობა შეუზღუდველად და უდისკრიმინაციოდ.

ვტოვებთ რა თქვენს ქვეყანას, ვუსურვებთ შეერთებული სამეფოს ხალხებს წარმატებებსა და აყვავებას. ვუსურვებთ მათ აგრეთვე წარმატებებს მათს კეთილშობილურ მისწრაფებაში ხალხთა შორის მშვიდობისა და თანამშრომლობისაკენ.

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირსა და დიდ ბრიტანეთს შორის მეგობრობასა და თანამშრომლობას!

ნახვამდის!

დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა ა. იდენმა აგრეთვე გააკეთა განცხადება მიკროფონთან.

(დასასრული მე-2 გვერდზე).

დანართი

ერთობლივი განცხადება სსრ კავშირსა და შეერთებულ სამეფოს შორის ურთიერთობის შემდგომი განვითარების შესახებ

სსრ კავშირისა და შეერთებული სამეფოს მთავრობათა მეთაურები ნ. ა. ბულგანინისა და ნ. ს. ხრუშჩოვის შეერთებულ სამეფოში ჩამოსვლასთან დაკავშირებით აზრთა ურთიერთგაზიარების შემდეგ შეთანხმდნენ შემდეგზე:

1. მათ კმაყოფილებით აღნიშნეს, რომ მიღწეულია გარკვეული შედეგები ორივე ქვეყნის ურთიერთობაში კულტურული, მეცნიერული და ტექნიკური ურთიერთობის, მთავრობის, მუნიციპალური, მეცნიერული და კულტურული დელეგაციების, თეატრისა და მუსიკის წარმომადგენლების, აგრეთვე სასპორტო კოლექტივების გაცვლის დარგში.

2. მათ სასურველად მიაჩნიათ, რომ ორივე ქვეყნის მთავრობებმა თვითეული ქვეყნის მოქალაქეებს ყოველი ღონისძიებით გაუწიონ დახმარება იმაში, რომ გაეცნონ მეორე ქვეყნის გამოცდილებასა და მიღწევებს ლიტერატურის, ფერწერისა და სკულპტურის, თეატრის, მუსიკის, კინოს, რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის დარგში, აგრეთვე მეცნიერების, ტექნიკის, განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის დარგში.

3. ისინი იწონებენ გაცვლის ყოველგვარ გადიდებას სამხატვრო, ტექნიკურ. სამეცნიერო და სასპორტო ორგანიზაციებს შორის ნაცვალგების საფუძველზე, მხედველობაში აქვთ რა ამ დარგებში ორივე ქვეყნის საუკეთესო მიღწევები; ისინი იწონებენ სტუდენტების გაცვლას, რომლებსაც აქვთ მისაღები მომზადება მეორე ქვეყნის უნივერსიტეტებში სწავლისათვის.

4. მათ სურთ ხელი შეუწყონ ინფორმაციის გაცვლას საბჭოთა კავშირისა და შეერთებული სამეფოს ძირითად აკადემიურ, პროფესიულ და სამეცნიერო დაწესებულებათა შორის და გაადიდონ მეცნიერების, ტექნიკისა და კულტურის დარგში ორივე ქვეყნის გამოცემათა გაცვლა.

5. მათ იმედი აქვთ, რომ გადიდდება რაოდენობა საბჭოთა მოქალაქეების ინდივიდუალური და ჯგუფური გამგზავრებისა შეერთებულ სამეფოში და შეერთებული სამეფოს მოქალაქეებისა — საბჭოთა კავშირში. ორივე მთავრობა ყოველნაირად შეუწყობს ხელს ამ ღონისძიებათა განხორციელებას, კერძოდ, უფრო ხელსაყრელი ეკონომიური პირობების შექმნით.

6. ესწრაფვიან რა ურთიერთგაგების გაუმჯობესებას, რაც ამ ურთიერთობის განმტკიცების მიზანია, ისინი თანხმდებიან ყოველი ღონისძიებით შეუწყონ ხელი საბჭოთა კავშირისა და შეერთებული სამეფოს ხალხებს მეორე ხალხის აზრებისა და ცხოვრების წესის ურთიერთგაცნობაში. ამ მიზნით ისინი გადადგამენ პრაქტიკულ ნაბიჯებს, რათა უზრუნველყონ სიტყვიერი და ბეჭდვითი ინფორმაციის უფრო თავისუფალი გაცვლა.

ნ. ა. ბულგანინი და ნ. ს. ხრუშჩოვი ინგლისში

(დასასრული)

ა. იდენის განცხადება

მსურს მადლობა გადაგიხადოთ მოთმინებისა და შეუპოვრობისათვის, რაც თქვენ გამოიჩინეთ ესოდენ ძნელი, ჩემი აზრით, და მომქანცველი პროგრამის შესრულებისას. ჩვენ შორის წარმოებდა ხანგრძლივი მოლაპარაკება. სრულიად არ მეპარება ეჭვი, რომ ეს მოლაპარაკება სასარგებლო იყო ჩვენი ორი ხალხის ურთიერთობისა და ითელი მსოფლიოს მშვიდობის საქმისათვის. გმადლობთ იმისათვის, რომ ჩამოხვედით ჩვენთან და გისურვებთ საღამოვნო მგზავრობას სამშობლოსაკენ.

* * *

გულთბილად გამოეთხოვნენ რა პრემიერ-მინისტრ იდენს, საბჭოთა ხელმძღვანელებმა დაიკავეს ადგილები სპეციალური მატარებლის ვაგონში. მატარებელი პორტსმუტში გავიდა ვიქტორიის ვაგზლიდან 11 საათსა და 10 წუთზე.

პორტსმუტიდან გამგზავრება

პორტსმუტი, 27 აპრილი. **(საკდესის სპეც. კორ.).** 13 საათსა და 10 წუთზე სპეციალური მატარებელი, რომლითაც მოდიან ნ. ა. ბულგანინი, ნ. ს. ხრუშჩოვი და მათი თანმხლები პირები, მოვიდა პორტსმუტის ნავსადგურის რკინიგზის სადგურში. საბჭოთა ხელმძღვანელებს შეხვდნენ პორტსმუტის ლორდ-მერი ჯ. დეი და ქალაქის მუნიციპალურ ხელისუფალთა სხვა წარმომადგენლები. სტუმრები სხდებიან ავტომანქანებში და მიდიან საუტ რეილუეი ჯეტის ნავმისადგომში, სადაც დგას კრეისერი „ორჯონიკიძე“.

ნავმისადგომზე საბჭოთა სტუმრებს პორტსმუტის სამხედრო-საზღვაო ბაზის სარდლის სახელით მიესალმა ბაზის სუპერ-ინტენდანტი ადმირალი სოლტერი. ჩამწკრივებული იყო მეზღვაურთა საპატიო ყარაული. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ა. ბულგანინმა ჩამოუარა საპატიო ყარაულის მწყობრს. ორკესტრი ასრულებს სამხედრო მარშს.

ნ. ა. ბულგანინი და ნ. ს. ხრუშჩოვი დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრის სელვინ ლოიდის თანხლებით ადიან ტრაპით კრეისერ „ორჯონიკიძეზე“. გაისმის ბრძანება „სმენა!“. საბჭოთა ხელმძღვანელები იღებენ საბჭოთა ხომალდების ჯგუფის სარდლის კონტრ-ადმირალ კოტოვის პატაკს. ნ. ა. ბულგანინმა და ნ. ს. ხრუშჩოვმა სელვინ ლოიდის თანხლებით ჩამოუარეს საბჭოთა მეზღვაურების რიგებს, რომლებიც გემბანზე იყვნენ ჩამწკრივებულნი.

დადგა გამგზავრების მომენტი. ნ. ა. ბულგანინი და ნ. ს. ხრუშჩოვი ეთხოვებიან გამცილებელ პირებს: დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრს სელვინ ლოიდს, დიდი ბრიტანეთის ელჩს სსრ კავშირში უ. ჰეიტერს, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველ მოადგილეს ა. ა. გრომიკოს, სსრ კავშირის ელჩს დიდ ბრიტანეთში ი. ა. მალიკს, სსრ კავშირის სამხედრო ატაშეს დიდ ბრიტანეთში გენერალ-მაიორ ა. ს. როგოვს, სამხედრო-საზღვაო ატაშეს პირველი რანგის კაპიტანს ნ. პ. ელისეენკოს, სსრ კავშირის საელჩოს მრჩეველს ა. ა. როშჩინსა და პ. მ. ჩერნიშევს და დიდ ბრიტანეთში საბჭოთა დაწესებულებების სხვა წარმომადგენლებს.

14 საათსა და 15 წუთზე კრეისერი „ორჯონიკიძე“ სცილდება ნავმისადგომს. პორტსმუტის ნავსადგურის სასიგნალო კოშკურის ფლაგშტოკზე აღმართეს სასიგნალო ალმები: „ნახვამდის, ბედნიერი მგზავრობა!“. კრეისერი „ორჯონიკიძე“ საესკადრო ნაღმოსნების „სოვერშენნის“ და „სმოტრიაშჩის“ თანხლებით გადის პორტსმუტის ბუხტიდან და კურსს იღებს საბჭოთა ქვეყნის ნაპირებისაკენ.

ნ. ა. ბულგანინი და ნ. ს. ხრუშჩოვი ედინბურგში

ედინბურგი, 26 აპრილი. **(საკდესის სპეც. კორ.).** როგორც უკვე ვიუწყებოდით, 26 აპრილს 15 საათზე ადგილობრივი დროით ოთხმოტორიანი თვითმფრინავი „ვიკაუნტი“, რომელმაც სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ა. ბულგანინი და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი ნ. ს. ხრუშჩოვი ლონდონიდან შოტლანდიაში ჩაიყვანა, დაეშვა ტერნჰაუზის აეროდრომზე ექვს მილზე ედინბურგიდან. აეროდრომზე საბჭოთა ხელმძღვანელებსა და მათს თანმხლებ პირებს მიესალმნენ შოტლანდიის საქმეთა მინისტრი ჯეიმს სტიუარტი და ედინბურგის სამოქალაქო და სამხედრო ხელისუფალთა წარმომადგენლები.

სტუმრებს მიესალმა სამეფო სამხედრო-საჰაერო ძალების საპატიო ყარაული, რომელიც აეროდრომზე იყო ჩამწკრივებული. ნ. ა. ბულგანინმა ჩამოუარა საპატიო ყარაულის ფრონტს.

აეროდრომიდან ნ. ა. ბულგანინი და ნ. ს. ხრუშჩოვი შოტლანდიის საქმეთა სახელმწიფო მინისტრის ჯ. სტიუარტის თანხლებით ავტომობილებით გაემგზავრნენ პატარა ქალაქ საუტ კუინსფერში 9 მილზე ედინბურგიდან მდინარე ფორტის სამხრეთ ნაპირზე, რათა დაეთვალიერებინათ განთქმული სარკინიგზო ხიდი შოტლანდიის დიდებულ მდინარეზე.

საუტ კუინსფერიდან საბჭოთა ხელმძღვანელები და მათი თანმხლები პირები ედინბურგში გაემგზავრნენ.

საბჭოთა სტუმრები მივიდნენ ჰოლიერუდჰაუზის სასახლეში — შოტლანდიის სტიუარტების დინასტიის მეფეთა ძველებურ რეზიდენციაში, რომელიც არაერთხელ გადაკეთებულა საუკუნეთა განმავლობაში და რომლის ახლანდელი სახე ძირითადად XVII საუკუნის მეორე ნახევარს ეკუთვნის. ეს სასახლე უკანასკნელ საუკუნეებში დიდ ბრიტანეთის მეფეთა შოტლანდიის ოფიციალური რეზიდენციაა. სასახლის ნაწილი გარდაქმნილია მუზეუმად, რომელშიც დაცულია სურათებისა და ძველებური ნივთების ძვირფასი კოლექცია.

ჰოლიერუდჰაუზის სასახლის შესასვლელთან ნ. ა. ბულგანინსა და ნ. ს. ხრუშჩოვს შეხვდა სასახლის შთამომავლობითი დამცველი ჰერცოგი ჰამილტონელი. ისინი დაახლოებით ერთ საათს დარჩნენ სასახლეში. მათ უჩვენეს სასახლის შიგნითა აპარტამენტები, მათ შორის შოტლანდიის დედოფალ მარიამ სტიუარტის ოთახები. საბჭოთა ხელმძღვანელებმა ხელი მოაწერეს სასახლის საპატიო სტუმართა წიგნში.

ჰოლიერუდჰაუზის სასახლიდან ავტომობილების კორტეჟი ბორცვებზე გაშენებული პარკისა და ედინბურგის ცენტრალური ქუჩების გავლით გაემართა მუნიციპალური საბჭოს შენობისაკენ. ედინბურგის მრავალი მცხოვრები ადევნებდა თვალს საბჭოთა ხელმძღვანელების გავლას და გულითადად მიესალმებოდა მათ.

მუნიციპალურ საბჭოში ნ. ა. ბულგანინსა და ნ. ს. ხრუშჩოვს შეხვდნენ ედინბურგის ლორდ-პროვოსტი (ლორდ-მერი) სერ ჯონ ბენქსი და მუნიციპალური საბჭოს წევრები. ლორდ-პროვოსტმა საბჭოთა სტუმრები მიიწვია მუნიციპალური საბჭოს შენობის ერთ-ერთ მისაღებ დარბაზში, სადაც გაემართა საუბარი სტუმრებსა და ედინბურგის მუნიციპალურ ხელისუფალთა წარმომადგენლებს შორის. ნ. ა. ბულგანინსა და ნ. ს. ხრუშჩოვს ლორდ-პროვოსტის სახელით მიართვეს საჩუქრები — შოტლანდიელ ოსტატთა ბროლის ნაწარმი, რომელზეც ამოკვეთილია ქალაქ ედინბურგის გერბები.

შემდეგ საბჭოთა ხელმძღვანელები ეწვივნენ ედინბურგის უძველეს ციხე-დარბაზს, რომელიც ქალაქს დაჰყურებს და აშენებულია მაღალ გრანიტის კლდეზე და გარს არტყია შუა საუკუნეთა ციხის გალავანი. ესპლანადზე — პატარა მოედანზე ციხე-დარბაზის მთავარი კარის წინ ჩამწკრივდა შოტლანდიის სამეფო გვარდიის ეროვნულ შოტლანდიურ ფორმაში გამოწყობილ ჯარისკაცთა საპატიო ყარაული.

საპატიო ყარაულის მწყობრის ჩამოვლის შემდეგ ნ. ა. ბულგანინმა და ნ. ს. ხრუშჩოვმა ადგილები დაიკავეს საპატიო ტრიბუნაზე და დაესწრნენ შოტლანდიის გვარდიის ლამაზ ტრადიციულ სამხედრო ცერემონიას, როცა საზეიმოდ გაისმოდა დოლის ხმები და ყოველგვარ ეროვნული შოტლანდიური ინსტრუმენტების — სტვირების სამხედრო ორკესტრი.

ამ ცერემონიის დამთავრების შემდეგ ნ. ა. ბულგანინი და ნ. ს. ხრუშჩოვი ედინბურგის ლორდ-პროვოსტის სერ ჯონ ბენქსის თანხლებით ავიდნენ ციხე-დარბაზის ციტადელზე, სამეფო მოედანზე. აქ დგას პირველ მსოფლიო ომში დაღუპულ შოტლანდიელთა ეროვნული ძეგლი, რომელიც აგებულია 1927 წელს, აქვე არის ედინბურგის ციხე-დარბაზის ეგრეთწოდებული სამეფო დარბაზი, სადაც დაცულია შოტლანდიელ მეფეთა ისტორიული რეგალიები.

მას შემდეგ, რაც ნ. ა. ბულგანინმა და ნ. ს. ხრუშჩოვმა დათვალიერეს ედინბურგის ციხე-დარბაზის ციტადელის ღირსშესანიშნაობანი, შოტლანდიის საქმეთა მინისტრმა ჯეიმს სტიუარტმა და ედინბურგის ლორდ-პროვოსტმა სერ ჯონ ბენქსმა სადილი გამართეს საბჭოთა ხელმძღვანელების პატივსაცემად.

სადილის ბოლოს შოტლანდიის საქმეთა მინისტრმა ჯეიმს სტიუარტმა წარმოთქვა დიდი ბრიტანეთის დედოფლისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის სადღეგრძელო. შესრულებულ იქნა დიდი ბრიტანეთისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ჰიმნები.

შემდეგ ჯეიმს სტიუარტმა მოკლე მისასალმებელი სიტყვით მიმართა საბჭოთა სტუმრებს. მან მწარეარება გამოთქვა, რომ საბჭოთა ხელმძღვანელებს დროის უქონლობის გამო საშუალება არ მიეცათ უკეთ გაეცნოთ შოტლანდია და შოტლანდიელი ხალხის ცხოვრების წყობილება. ჯეიმს სტიუარტმა თქვა, რომ იმედი აქვს, რომ იმ ცოტადენმა რამემაც, რაც სტუმრებმა ნახეს, სასიამოვნო შთაბეჭდილება მოახდინა მათზე.

ადგილი, სადაც ჩვენ ვსადილობთ, თქვა სტიუარტმა, შოტლანდიის ერთ-ერთი უძველესი სამხედრო ციხე-სიმაგრეა, მაგრამ მე მოხარული ვარ, რომ ეს ადგილი უკვე აღარ ემსახურება იმ მიზანს, რისთვისაც იგი აშენდა. ჩვენ ახლა ვისწავლეთ ცხოვრება შედარებით მეგობრული ურთიერთობით ერთმანეთთან. ერთადერთი იმედი, რომელიც მსურს გამოვთქვა დღევანდელ შესანიშნავ მოვლენასთან დაკავშირებით, განაგრძო მინისტრმა, ის არის, რომ მსოფლიოს ხალხებმა ისწავლონ ერთად ცხოვრება და ერთმანეთთან ვაჭრობა მეგობრობისა და თანასუფლების ვითარებაში. **(ტაში).** საუზმეზე საბჭოთა საელჩოში ლონდონში გაპულ კვირაში, რომელსაც ჰატივი მქონდა დავსწრებოდი, ბ-ნმა ხრუშჩოვმა თქვა, რომ ნდობით გამსჭვალული თანაარსებობა უნდა იყოს ჩვენი საერთო მიზანი. ასეთია ნამდვილად ჩვენი მთავრობისა და შოტლანდიის ხალხის სურვილი. წარსულში ჩვენ მრავალი სასარგებლო კონტაქტი გვქონდა. მაშ იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ჩვენ გვექნება მრავალი ნაყოფიერი და მეგობრული კონტაქტი **(ტაში).**

საპასუხო სიტყვა წარმოთქვა ნ. ა. ბულგანინმა, რომელსაც ყველა დამსწრე გულთბილად შეხვდა. მან გულითადი მადლობა გამოთქვა იმ გულთბილი მიღებისა და სტუმართმოყვარეობისათვის, რომელიც საბჭოთა ხელმძღვანელებს შოტლანდიის დედაქალაქში გაუწიეს. ნ. ა. ბულგანინმა ედინბურგის მოქალაქეებსა და მთელ შესახიშნავ შოტლანდიელ ხალხს გადასცა საბჭოთა კავშირის ხალხთა მხურვალე სალამი, უსურვა წარმატებანი და აყვავება. ედინბურგი დიდ ბრიტანეთში ჩვენი მოგზაურობის უკანასკნელი პუნქტია, განაგრძო ნ. ა. ბულგანინმა. ახლა, როცა ჩვენ გავეცანით ამ ქალაქს, მე ვხედავ, რომ თქვენმა პატივცემულმა პრემიერ-მინისტრმა იდენმა შემთხვევითი არ დასახა შოტლანდიის დედაქალაქში ჩვენი სტუმრობა აქ ყოფნის პროგრამის უკანასკნელ ეტაპად, არამედ სწორედ იმისათვის, რომ განსაკუთრებით დიდი სიამოვნება მოენიჭებინა ჩვენთვის. ნ. ა. ბულგანინმა თქვა, რომ ნ. ს. ხრუშჩოვსა და მას ყოველთვის ემახსოვრებათ შოტლანდიის მშვენიერი დედაქალაქი, და მწუხარება განოთქვა, რომ დროის უქონლობამ საშუალება არ მისცა მათ ენახათ ამ შესანიშნავი ქვეყნის სხვა ადგილები. ჩვენ მაინც, განაგრძო ნ. ა. ბულგანინმა, თან მიგვაქვს საუკეთესო შთაბეჭდილება თქვენს ქვეყანაზე, იმ ქვეყანაზე, რომელიც განთქმულია თავისი გემთმშენებლობითა და მრეწველობის სხვა დარგებით.

ნ. ა. ბულგანინმა დასძინა, რომ იგი იზიარებს მინისტრ სტიუარტის სიხარულს იმის გამო, რომ ისეთი ციხე-სიმაგრენი, როგორც ეს არის, ახლა უკვე აღარ არის საჭირო. ნ. ს. ხრუშჩოვმა ამ დროს დამსწრეთა ტაშის გრიალში შენიშნა, რომ ასეთი ციხე-სიმაგრენი სავსებით გამოსადეგია იმისათვის, რომ იქ მოეწყოს მეგობრული შეხვედრები.

ნ. ა. ბულგანინი სავსებით დაეთანხმა ნ. ს. ხრუშჩოვის ამ აზრს და სურვილი გამოთქვა, რომ შოტლანდიის ხალხი, რომელსაც მაღალი კულტურა და განვითარებული მრეწველობა აქვს, არ ასცდეს ინგლის-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ფართო გზას.

ჩვენ ძალიან მოგვეწონა, თქვა დასასრულ ნ. ა. ბულგანინმა, ბ-ნ მინისტრის სიტყვები თანაარსებობის შესახებ და ის, რომ იგი იზიარებს ამ საკითხზე ნ. ს. ხრუშჩოვის თვალსაზრისს. რა არის თანაარსებობა? თანაარსებობა თანამშრომლობა და მეგობრობაა. **(ტაში).**

ნ. ა. ბულგანინმა გამარჯვება უსურვა დიდ ბრიტანეთსა და საბჭოთა კავშირს შორის თანაარსებობას, მეგობრობასა და თანამშრომლობას, საბჭოთა და შოტლანდიელ ხალხებს შორის მეგობრობასა და თანამშრომლობას.

სადილის დამთავრების შემდეგ ნ. ა. ბულგანინი და ნ. ს. ხრუშჩოვი დაბრუნდნენ ედინბურგის აეროდრომზე. 20 საათსა და 55 წუთზე ლონდონის დროით ისინი ლონდონში გაფრინდნენ.

საქართველოს სსრ პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების მეორე ყრილობა

გაიმართა საქართველოს სსრ პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების მეორე ყრილობა.

საანგარიშო მოხსენება გააკეთა საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარემ აკადემიკოსმა ნ. ი. მუსხელიშვილმა.

— პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების მეორე ყრილობა, — თქვა მომხსენებელმა, — შეიკრიბა იმ დღეებში, როცა მთელმა საბჭოთა ხალხმა უდიდესი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის ვითარებაში გაიხარა ბრძოლა იმისათვის, რომ განახორციელოს კომუნისტური შენებლობის გრანდიოზული პროგრამა, რომელიც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობამ დასახა. პარტიის XX ყრილობამ დიდი ყურადღება მიაქცია იდეოლოგიური მუშაობის საკითხებს. ყრილობის რეზოლუცია აღნიშნავს, რომ „იდეოლოგიური მუშაობის დარგში ყრილობას ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანად მიიჩნია კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკისაგან პროპაგანდის მოწყვეტის დაძლევა. საჭიროა უფრო მჭიდროდ დაუკავშიროთ ჩვენი პროპაგანდა და აგიტაცია იმ ამოცანებს, რომ შეიქმნას კომუნიზმის მატერიალურ-წარმოო ბაზა, მატერიალური და კულტურული დოვლათის სიუხვე, ამაღლდეს მოქალაქეთა კომუნისტური შეგნება, ბოლო მოეღოს დოგმატიზმსა და მედიათნეობას, რომლებიც უცხოა მარქსიზმ-ლენინიზმის შემოქმედებითი სულისკვეთებისათვის“.

ეს განსაზღვრავს პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გავრცელების დარგში საზოგადოების მუშაობის ამოცანებსა და ხასიათს. საზოგადოებამ თავისი საქმიანობა მჭიდროდ უნდა დაუკავშიროს საბჭოთა ხალხის ყოველდღიურ ბრძოლას პარტიისა და მთავრობის უმნიშვნელოვანეს გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის, კომუნისტურ მშენებლობაში ახალი წარმატებებისათვის.

მომხსენებელი და კამათში გამოსულნი აღნიშნავდნენ, რომ საზოგადოებას ჯერ კიდევ საკმაოდ ფართოდ არ გაუხალებია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა პროპაგანდა. საჭიროა უფრო ფართოდ განვმარტოთ ამოცანები, რომლებიც დასახულია ჩვენი ქვეყნის წინაშე მეექვსე ხუთწლიანი გეგმით. პიროვნების კულტის გადმონაშთების დაძლევასთან დაკავშირებულ საკითხებზე, უნდა გწყობოდეს მეტი ლექციები, რომლებიც გაშარტავენ ისტორიაში ხალხის მასების გადამწყვეტ როლს.

ამავამად პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელ საზოგადოებაში 5.072 წევრია. მათ შორის არიან: ათობით აკადემიკოსი და რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის წევრი-კორესპონდენტი, ასობით მეცნიერებათა დოქტორი და კანდიდატი, ინჟინერ-ტექნიკურნ მუშაკი და სოფლის მეურნეობის სპეციალისტი, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მოწინავე. წლითიწლობით იზრდება ლექციების რაოდენობა. გასულ წელს საზოგადოების წევრებმა წაიკითხეს 23.618 ლექცია, აქედან 16.394 წაკითხულია სოფელ ადგილებში. ლექციები მოისმინა 1.912.752 კაცმა.

კარგად მუშაობდნენ 1955 წელს აფხაზეთის, აჭარის, ახალციხის, გორის—საქალაქო, კაჩეთის, ახმეტის, ქუთაისის—საქალაქო, ცაგერის, ხახარაძისა და სხვა განყოფილებანი. საკმაოდ ვერ გაიჩაღეს ლექციური მუშაობა სამხრეთ ოსეთის, ახალქალაქის, ბოგდანოვკის, კასპის, დმანისის, ვანის, ჭიათურის, მესტიისა და ზოგიერთმა სხვა განყოფილებამ.

ლექციური პროპაგანდა მიმდინარე წელს კიდევ უფრო ფართოდ ჩაღდება. პირველი სამი თვის განმავლობაში უკვე წაკითხულია ა.000-ზე მეტი ლექცია.

საქართველოს სსრ პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოება აერთიანებს 20 სექციას. ამ სექციების ბიუროებში შედის მეცნიერების სხვადასხვა დარგის 143 თვალსაჩინო სპეციალისტი. საანგარიშო პერიოდში სექციების მუშაობა ახალი ლექციების მომზადებისა და ლექციური და ბეჭდვითი პროპაგანდის ხარისხის ამაღლების დარგში რამდენადმე გაუმჯობესდა. უფრო ხშირად ეწყობა ლექციების განხილვა. საანგარიშო პერიოდში, — ორ წელიწადზე ცოტა მეტი ხნის განმავლობაში, მოამზადეს და განიხილეს 940 ტექსტი. სექციების ბიუროები უფრო მკაცრად უდგებიან ლექციების შეფასებას. საანგარიშო პერიოდში 121 ლექციამ მიიღო უარყოფითი შეფასება. დაწუნებულ იქნა. გადიდდა საზოგადოების იმ წევრთა რაოდენობა, რომლებიც მონაწილეობას იღებენ ლექციების წაკითხვაში.

მაგრამ საზოგადოების მუშაობაში არის არსებითი ნაკლოვანებანი. მათ შორის მთავარია ის, რომ ლექციურ მუშაობაში ჯერჯერობით საზოგადოების წევრთა მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილი მონაწილეობს. ლექციების ხარისხი ჯერ კიდევ ჩამორჩება მოთხოვნებს. ზოგიერთი სექციის ბიუროები მეტად ფრთხილად იწვევდნენ საერთო კრებებს, რითაც აორგანიზებენ საზოგადოების საქმიანობის ძირითად პრინციპებს. მაგალითად, ბიცხოველეობის, მიწათმოქმედების, გეოგრაფიისა და გეოლოგიის სექციებმა შარშან მხოლოდ თითოჯერ მოიწვიეს საერთო კრება.

ჯერეოვანი ყურადღება არ ექცევა ლექციების რეცენზირებას. ზოგიერთი რეცენზენტი შეუწყნარებელ ლიბერალობას იჩენს, უსაფუძვლოდ იძლევა დადებითს შეფასებას ლექციებზე, რომლებიც აშკარად არ არიან ამის ღირსი. მაგალითად, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორმა ა. გაწერელიამ, რომელიც დასჯერდა ბოლოდ ერთ გვერდზე დაწერილ რეცენზიას, დადებითი შეფასება მისცა დ. დადარის ლექციას თემაზე „ილია ჭავჭავაძე — ბატონყმობის შეურიგებელი მტერი“, რომლის ნაკლოვანებანი შეუძლებელს ხდიან მის წაკითხვას.

ყრილობაზე გამოსულნი აღნიშნავდნენ, რომ სექციების ბიუროებს ნაკლებად აინტერესებთ ის, თუ როგორ კითხულობენ ლექციებს ჟურნალისტიკაში. ამავე დროს არის შემთხვევები, როცა ლექტორები, გადაუხვევენ ინ ლექციის ტექსტს, სერიოზულ შეცდომებს უშვებენ მისი წაკითხვის დროს.

ყრილობაზე ხაზგასმით აღნიშნავდნენ, რომ პროპაგანდის მოწყვეტა კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკისაგან, რაც პარტიამ ამხილა, სავსებით შეეხება ლექციურ და ბეჭდვითს პროპაგანდას, რომელსაც რესპუბლიკის საზოგადოება ეწევა. აგრეთვე აღინიშნა, რომ ლექციები ნაკლებად არის ილუსტრირებული თვალსაჩინო ხელსაწყოებით. ლექციებში დამაკმაყოფილებლად არ არის გამოყენებული ადგილობრივი მასალები, ჩვენი რესპუბლიკის რაიონებისა და ქალაქების სამეურნეო და კულტურული ცხოვრების ფაქტები.

ყრილობაზე გამოსულმა დელეგატებმა გააკრიტიკეს პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობა და მისი პრეზიდიუმი, რომლებიც საკმაო ყურადღებას არ აქცევდნენ ლექციური პროპაგანდის ხარისხის გაუმჯობესების საკითხებს. ეს საკითხი საანგარიშო პერიოდში არასოდეს არ ყოფილა გამგეობის პლენუმის განხილვის საგანი. ყრილობაზე ხაზგასმით აღნიშნავდნენ, რომ საჭიროა გაძლიერებული ყურადღება მიექცეს ლექციების იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლებას. ლექციები უნდა აკმაყოფილებდნენ მშრომელთა გაზრდილ პოლიტიკურ და კულტურულ მოთხოვნილებებს. კამათში გამოსულთ მოჰყავდათ ლექციების დაბალი ხარისხის, ლექციებში თემის შინაარსის გახსნის უუნარობის მაგალითები. მაგალითად, ქუთაისში ლექტორი ი. თოფჩიაშვილი კითხულობდა ლექციას თემაზე „რელიგიის წარმოშობა და მისი რეაქციული არსი“. ლექციაში არაფერია ნათქვამი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1954 წლის 10 ნოემბრის დადგენილებაზე „მეცნიერულ-ათეისტური პროპაგანდაში დაშვებული შეცდომების შესახებ“, არაფერია ნათქვამი რელიგიის თავისუფლებაზე სსრ კავშირში. ზოგიერთ ლექციაში, რომლებსაც საზოგადოების წევრები კითხულობდნენ, და მათ მიერ გამოშვებულ ბროშურებშიც კი დაშვებული იყო არეკ-დარეკა ინიმე და მსუბუქი მრეწველობის განვითარების ტემპების საკითხებში. მაგრამ საზოგადოების გამგეობამ, მისმა ეკონომიურმა სექციამ შესაბამისი შეფასება არ მისცა ამ შეცდომებს.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორიის სექციის ბიუროს თავმჯდომარემ დოცენტმა ა. მირცხულავამ თავისი გამოსვლა მიუძღვნა საზოგადოების მუშაობის ამოცანებს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით.

— პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების მთელ საქმიანობას,—თქვა პროფესორმა გ. ხაჭაპურიძემ, — საფუძვლად უნდა დაედოს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებების, მეექვსე ხუთწლედის ამოცანების პროპაგანდა. საჭიროა ფართოდ გავაჩაღოთ იმ ამოცანების პროპაგანდა, რომლებიც ჩვენი რესპუბლიკის წინაშე დგას ახალ ხუთწლედში. ამავე დროს საზოგადოებას ჯერ კიდევ არ მოუგვარებია ლექციების კითხვა ისეთ მშრომელთა შესახებ, როგორიც არიან ვაზსადენი გროზნო-თბილისი, დარიალის ჰესი, მოძე მოკავშირე რესპუბლიკების მიწეგების შესახებ. ლექციების ტემატიკაში ხაჭამაო ყურადღება არ ექცევა საბჭოთა პატრიოტიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის, სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობის, საბჭოთა ეროვნული პოლიტიკის, ისტორიაში ხალხის მასების როლის საკითხებს. დროა შედგენილ იქნას დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 40 წლისთავისათვის ლექციათა ციკლის გეგმა.

კამათში ბევრი აღინიშნავდა, რომ საზოგადოება მეტ ლექციებს უნდა აწყობდეს ხალხთა შორის მეგობრობის შესახებ, განსაკუთრებით დიდი რუსი ხალხისა და ქართველი ხალხის მეგობრობის შესახებ. უმნიშვნელოვანესი ამოცანაა უფრო ფართოდ და ღრმად გავეწიოთ პროპაგანდა საბჭოთა კავშირის მშვიდობიმოყვარეულ საგარეო პოლიტიკას, მის ბრძოლას მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროებისათვის, ორი სოციალურ-პოლიტიკური სისტემის მშვიდობიანი თანაარსებობისათვის. საჭიროა სისტემატურად იკითხებოდეს ლექციები მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის ბანაკის დიდ წარმატებებზე, სოციალისტური მშენებლობის მიღწევებზე ჩინეთში და სახალხო დემოკრატიის სხვა ქვეყნებში.

პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებანი წარმოადგენენ მარქსიზმ-ლენინიზმის ჩაფიქრებითი განვითარებისა და კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკისადმი მისი შეფარდების ნიმუშს. ამიტომ ახლა პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის პროპაგანდის დარგში არ არის უფრო მნიშვნელოვანი, უფრო საპატიო ამოცანა, ვიდრე პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა ფართო და ღრმა პროპაგანდა. ამ ბოლო დროს საზოგადოებამ ამ მიმართულებით განახორციელა გარკვეული მუშაობა. უკვე წაკითხულია ასობით ლექცია საკითხებზე, რომლებიც გამომდინარეობენ XX ყრილობის გადაწყვეტილებებიდან. მაგრამ ეს ლექციები უფრო ბევრად უნდა დაუკავშიროთ პრაქტიკულ ამოცანებს, რომლებიც დგას მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, კულტურული მშენებლობის ამა თუ იმ დარგის წინაშე. სექციების ბიუროებმა დიდი მუშაობა უნდა გასწიონ ლექციების ხარისხის გაუმჯობესებისათვის, მათი იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლებისათვის.

იმაზე, თუ რა უდიდესი ინტერესით სარგებლობენ მშრომელებში ლექციები საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებებიდან გამომდინარე საკითხებზე, უამბეს დამსწრეთ საზოგადოების სამტრედიის რაიონული განყოფილების გამგეობის თავმჯდომარემ ა. კიკაბიძემ, კაჭრეთის რაიონული განყოფილების გამგეობის თავმჯდომარემ მ. ტაველიშვილმა, ქუთაისის საქალაქო განყოფილების პასუხისმგებელმა მდივანმა ვ. ჩაკვეტაძემ და სხვებმა. მაგრამ ეს ლექციები უფრო მიაღწევდნენ თავის მიზანს, ისინი რომ დაკავშირებული იყვნენ ადგილობრივ სინამდვილესთან, ასახავდნენ მოცემული რაიონის, კოლმეურნეობის, მტს-ის, საწარმოს კონკრეტულ მიღწევებსა და პერსპექტივებს.

ანალოგიური შენიშვნები გამოითქვა ეკონომიურ და ტექნიკურ თემებზე ლექციების გამო, რომელთა საჭიროება ძლიერ გადიდდა. ეკონომიკის სექციის ბიუროს თავმჯდომარემ დოცენტმა ი. მიქელაძემ ილაპარაკა იმაზე, რომ ლექციები ეკონომიურ თემებზე ხშირად მოწყვეტილია ცოცხალ პრაქტიკას. მაგალითად, ლექცია შრომის ნაყოფიერების გადიდების შესახებ, რომელსაც მხოლოდ მეცნიერულ-თეორიული ხასიათი აქვს, არ ინტერესებს მსმენელებს. ლექტორი მოკალეა ლექციის წაკითხვამდე გულდასმით გაეცნოს მოცემულ საწარმოს, მის თავისებურებებს, რათა საშუალება ჰქონდეს დაასურათოს ლექცია საინტერესოს, მსმენელთათვის გასაგები მაგალითებით და ციფრებით. არ იკითხება ლექციები სოფლის მეურნეობის ეკონომიკის შესახებ. ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორმა დ. მშვენიერაძემ აღნიშნა, რომ ტექნიკის საკითხები დიდ ინტერესს იწვევენ მშრომელებში. ლექციები ტექნიკის საკითხებზე უნდა იყოს არა კომპლექსური, რომლებიც ერთბაშად მოიცავენ რთული საკითხების მთელ წრეს, არამედ უფრო კონკრეტული, ერთ თემაზე, პოპულარული. ყოველი ასეთი ლექცია მსმენელებს უნდა აძლევდეს ნათელ, ამოწურავ წარმოდგენას ტექნიკის ამა თუ იმ მიღწევებზე.

ყრილობაზე აღინიშნა, რომ საკმაო რაოდენობით არ იმართება ლექციებს სოფლის მეურნეობის საკითხებზე. მაგალითად, შარშან კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და მტსებში წაკითხული 10.515 ლექციიდან მხოლოდ 2.062 იყო სოფლის მეურნეობის თემებზე. გაკრტიკებულ იქნა მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის სექციების საქმიანობა.

მეცხოველეობის სექციის ბიუროს თავმჯდომარე დოცენტმა ა. კაკახიძემ, სამართლიანად აღნიშნა, საყვედურად გამოთქვა ზოგიერთი მეცნიერის, სპეციალისტის მიმართ იმისათვის, რომ მათ არა სურთ ლექციების წასაკითხავად წავიდნენ შორეულ რაიონებში.

ყრილობის დელეგატები აღნიშნავდნენ, რომ პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობა საკმაო ყურადღებას არ აქცევს ლექციური მუშაობის დაგეგმვას. ამის შედეგია ის, რომ ზოგიერთი ლექტორი მეტად იტვირთება, მაშინ როცა საზოგადოების წევრთა ნაწილი სრულებით არ კითხულობს ლექციებს. ლექციები სასოფლო-სამეურნეო თემებზე იმართება ძირითადი საწარმოთა ვადების გაუთვალისწინებლად. ზოგჯერ ერთსა და იმავე რაიონში, როგორც დასწრეთ უამბო ზესტაფონ

საბჭოთა აზერბაიჯანის 36-ე წლისთავი

ა. ს. ბაირამოვი,
აზერბაიჯანის სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე

ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები საბჭოთა აზერბაიჯანის 36-ე წლისთავს აღნიშნავენ უდიდესი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის ვითარებაში, რომელიც გამოწვეა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის ისტორიულმა გადაწყვეტილებებმა. ყრილობამ ჩვენს პარტიას და ჩვენი ქვეყნის ხალხებს დაუსახა მრეწველობის ყველა დარგის შემდგომი განვითარების, სასოფლო-სამეურნეო წარმოების მკვეთრი აღმავლობის და ამ საფუძველზე ქალაქისა და სოფლის მშრომელთა კეთილდღეობისა და კულტურის ზრდის გრანდიოზული პროგრამა.

კომუნისტური პარტიის ბრძნულმა ეროვნულმა პოლიტიკამ გამოაწრთო ჩვენი ქვეყნის ხალხთა ურღვევი მეგობრობა, შექმნა და განამტკიცა ჭრელეროვანი სოციალისტური სახელმწიფო — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი. ჩვენს ჭრელეროვან სახელმწიფოში ყველა ხალხს, მათ შორის აზერბაიჯანელ ხალხს, ყველა პირობა აქვს თავისი ყოვლისმხრივი ეკონომიური და კულტურული განვითარებისათვის.

აზერბაიჯანელმა ხალხმა საბჭოთა ხალხების ძმური დახმარების საფუძველზე და, უწინარეს ყოვლისა, დიდი რუსი ხალხის დახმარებით უდიდესი წარმატებანი მოიპოვა თავისი ეკონომიკისა და კულტურის განვითარებაში. საბჭოთა აზერბაიჯანი დიდად განვითარებული ინდუსტრიის, მექანიზებული სასოფლო-სამეურნეო მიწათმოქმედების რესპუბლიკაა, სადაც აყვავდა ეროვნული კულტურა. მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად რესპუბლიკის მშრომელებმა თავიანთი ღირსეული წვლილი შეიტანეს მოწინავე, მძლავრი სოციალისტური სახელმწიფოს მშენებლობის საქმეში, როგორიც ჩვენი ქვეყანა გახდა.

რევოლუციამდე აზერბაიჯანში არსებითად მრეწველობის ერთადერთი განვითარებული დარგი იყო ნავთობის მრეწველობა, ერთადერთი სამრეწველო ცენტრი — ბაქო. ამჟამად აზერბაიჯანი ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი დიდი ინდუსტრიული რაიონია. რესპუბლიკის მრეწველობის განვითარების ტემპები განუწყვეტლივ ძლიერდება. მაგალითად, 1955 წელს რევოლუციამდელ 1913 წელთან შედარებით აზერბაიჯანის სამრეწველო პროდუქციის საერთო მოცულობა თითქმის 12-ჯერ გადიდდა.

რესპუბლიკაში შეიქმნა მძიმე მრეწველობა, ახალი დარგები მისი ბუნებრივი რესურსების გამოყენების ბაზაზე. ამის მკაფიო მაგალითია დაბილესანი. აქ შეიქმნა სამთამადნო კომბინატი, რომელიც რკინის მადნს იძლევა ამიერკავკასიის მეტალურგიული მრეწველობისათვის.

რესპუბლიკის მეორე ახალ სამრეწველო კერაში — ქალაქ სუმგაიტში მეხუთე ხუთწლედში ამუშავდნენ აზერბაიჯანის შავი და ფერადი მეტალურგიის პირმშოები, მილსაგლინავი და ალუმინის ქარხნები.

საბჭოთა აზერბაიჯანში შეიქმნა მანქანათშენებლობა, მოტორმშენებლობა, აკუსართა წარმოება და მძიმე მრეწველობის სხვა დარგები.

განვითარდა აგრეთვე მსუბუქი და კვების მრეწველობა. ბევრი დარგი. მაგალითად, მეხუთე ხუთწლედის განმავლობაში ბამბის ქსოვილების გამომუშავება გადიდდა 71 პროცენტით, შალეულისა — 3,4-ჯერ, საცვლის ტრიკოტაჟისა — 3-ჯერ, რადიოიმიღებებისა — 4,3-ჯერ.

უდიდესი მასშტაბით გაიზარდა სახალხო მეურნეობის ენერგეტიკული აღჭურვილობა. ახლა აზერბაიჯანში მუშავდება მეტი ელექტროენერგია, ვიდრე მთელ მეფის რუსეთში პირველი მსოფლიო ომის წინ. უკანასკნელ პერიოდში ამუშავდა მეხუთე ხუთწლედის ერთ-ერთი უდიდესი ენერგეტიკული ახალშენება — მინგეჩაურის ჰიდროელექტროკადგური, სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგური „ჩრდილეთი“ და სხვები.

სოციალისტურმა გარდაქმნებმა ძირეულად შეუცვალა სახე აზერბაიჯანის სოფლის მეურნეობას. საკოლმეურნეო წყობილების გამარჯვებამ, სამანქანო ტექნიკის, მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის მოწინავე მეთოდების დანერგვამ მკვეთრად გაადიდა სოფლის მეურნეობის პროდუქტიულობა და შეოსავლიანობა.

აზერბაიჯანის სოფლის მეურნეობის, განსაკუთრებით მებამბეობის აღმავლობისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს რწყვას. ვ. ი. ლენინი თავის წერილში „აზერბაიჯანის, საქართველოს, სომხეთის, დაღისტნის, მთიელთა რესპუბლიკის ამხანაგ კომუნისტებს“ 1921 წლის გაზაფხულზე მოითხოვდა დაეწყოთ დიდი სამუშაოები ელექტროფიკაციისა და რწყვის დარგში, ამასთან ხაზგასმით აღნიშნავდა რწყვის უდიდეს მნიშვნელობას.

ლენინის ამ მითითების განხორციელება საბჭოთა ხელისუფლების პირველი წლებიდანვე დაიწყო. განხორციელდა უდიდესი საირიგაციო სამუშაოები. გამოკოცხლდა, ბამბისა და მარცვლეულის ნათესით დაიფარა ასეულ ათასობით ჰექტარი მორწყული ველი. ახალი ძალით განახლდა სარწყავი არხების მშენებლობა სამამულო ომის შემდეგ. მარტო მეხუთე ხუთწლედის მანძილზე აშენდა 3 ათასი კილომეტრი სარწყავი ქსელი. მიწის სამუშაოთა მოცულობამ წყალთა მეურნეობის მშენებლობაში 200 მილიონ კუბურ მეტრზე მეტი შეადგინა.

ამ უკანასკნელ წლებში პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრისა და შემდგომი პლენუმების გადაწყვეტილებათა განხორციელებამ უზრუნველყო რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის აღმავლობა. ასრულებს რა ცენტრალური კომიტეტის მითითებებს, რესპუბლიკის პარტიულმა ორგანიზაციამ განამტკიცა მტს-ების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელი კადრები. 700 კოლმეურნეობის თავმჯდომარედ დაწინაურებული არიან პარტიული და საბჭოთა აქტივისტები, სოფლის მეურნეობის სპეციალისტები.

სოფლის მეურნეობის ყველა დარგის მკვეთრი აღმავლობის კურსს, რაც პარტიამ დასახა, რეალური შედეგები მოჰყვა. მეხუთე ხუთწლედის განმავლობაში გაორკეცდა ბამბის — ჩვენი სოფლის მეურნეობის ძირითადი კულტურის წარმოება. ერთნახევარჯერ გადიდდა მარცვლეულის წარმოება. გაორკეცდა მარცვლეულის წარმოება. ბოლო წელს შვიდჯერ და მეტად გადიდდა უძვირფასესი კულტურის — სიმინდის ნათესი ფართობი.

დიდი ოქტომბრის გამარჯვებამ, პარტიის ბრძნულმა ლენინურმა ეროვნულმა პოლიტიკამ შექმნა აზერბაიჯანელი ხალხის ფორმით ეროვნული, შინაარსით სოციალისტური კულტურის აყვავების პირობები. თუ რევოლუციამდე აზერბაიჯანში წერა-კითხვის მცოდნეთა რაოდენობა რამდენიმე პროცენტს შეადგენდა, ახლა, ისევე როგორც მთელ ჩვენს ქვეყანაში, ჩვენში განხორციელებულია საყოველთაო შვიდწლიანი განათლება, ხოლო მეექვსე ხუთწლედში შემოღებული იქნება საყოველთაო საშუალო განათლება.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში აზერბაიჯანში შეიქმნა უმაღლესი სკოლა. რესპუბლიკის 14 უმაღლეს სასწავლებელში, 79 საშუალო სპეციალურ სასწავლებელში 64 ათასზე მეტი სტუდენტი სწავლობს. რესპუბლიკაში შეიქმნა ახალი საბჭოთა ინტელიგენციის მრავალრიცხოვანი კადრები.

კულტურის აყვავებას მკაფიოდ მოწმობს საბჭოთა ხელისუფლების წლებში შექმნილი სამეცნიერო ორგანიზაციების საქმიანობა. აზერბაიჯანის მეცნიერებათა აკადემიაში, რესპუბლიკის 80 სხვა სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებასა და უმაღლეს სასწავლებლებში შრომობს 5 ათასი მეცნიერი მუშაკი, რომელნიც ცოდნის ყველა დარგის წარმომადგენლები არიან.

დიდ წარმატებას მიაღწია აზერბაიჯანულმა საბჭოთა ლიტერატურამ, ჩვენი ხალხის მრავალფეროვანმა ლამაზმა ხელოვნებამ.

კიდევ უფრო სასიხარულო პერსპექტივები ისახება საბჭოთა აზერბაიჯანის წინაშე მეექვსე ხუთწლედში. დირექტივები მეექვსე ხუთწლიანი გეგმის შესახებ, რომლებიც მიიღო კომუნისტური პარტიის XX ყრილობამ, ითვალისწინებენ, რომ აზერბაიჯანის სსრ მრეწველობის საერთო პროდუქცია გადიდდეს დაახლოებით 1,4-ჯერ, აქედან რესპუბლიკურისა — 1,6-ჯერ. ნავთობის ამოღებამ ხუთწლედის დამლევისათვის უნდა მიაღწიოს 15,7 მილიონ ტონას, გაზის მოპოვებამ — 3,5 მილიარდ კუბურ მეტრს. ელექტროენერგიის გამომუშავება გადიდდება 1,6-ჯერ, მდინარე მტკვარზე დაიწყება ახალი ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა. შემდგომ განვითარდება დამზესანის სამთამადნო მრეწველობა, გადიდდება ნაგლინის წარმოება. გათვალისწინებულია ახალი დიდი საწარმოების — კიროვაბადის თიხამიწის ქარხნის, სუმგაიტის სუპერფოსფატის ქარხნის, მინგეჩაურის ბამბეულის კომბინატის მშენებლობა. დასახულია მნიშვნელოვნად გადიდდეს სახალხო მეურნეობის საქონლის წარმოება: ბამბის ქსოვილებისა 2-ჯერ, შალეულისა — 3-ჯერ, ტყავის ფეხსაცმლისა — 1,4-ჯერ და სხვ.

ხუთწლიანი გეგმით დასახულია სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების დიდი ზრდა: ბამბისა დაახლოებით 1,4-ჯერ, მარცვლეულისა — 1,8-ჯერ, რძისა — 2,4-ჯერ.

კომუნისტური პარტიის XX ყრილობამ დირექტივებში მეექვსე ხუთწლიანი გეგმის შესახებ დასახა მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი ღონისძიებანი მშრომელთა მატერიალურ-კულტურული პირობების შემდგომი გაუმჯობესებისათვის. კერძოდ, გათვალისწინებულია სამინაო მშენებლობის მნიშვნელოვანი გადიდება. აზერბაიჯანში სახელმწიფო სამინაო მშენებლობის მოცულობა შეადგენს მილიონნახევარ კვადრატულ მეტრს — თითქმის ერთიორად მეტს, ვიდრე გასულ ხუთწლედში.

რესპუბლიკის მშრომელები, კომუნისტური მშენებლობის დიდებული პერსპექტივებით, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებით აღფრთოვანებულნი, აჩაღებენ შეჯიბრებას მეექვსე ხუთწლედის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის.

კომუნისტური პარტიის გარშემო დარაზმული, მარქსიზმ-ლენინიზმის ძლევამოსილი დროშის ერთგული აზერბაიჯანელი ხალხი თავდადებით იბრძვის კომუნისტურ მშენებლობაში ახალი წარმატებებისათვის, ჩვენი დიადი სამშობლოს შემდგომი აყვავებისათვის.

ლიტერატურისა და ხელოვნების ქრონიკა

მოქანდაკეები ვ. მიზანდარი და გ. ნიკოლაძე ამთავრებენ ჩვენი ეპოქის უნიჭიერესი პოეტის ვლადიმერ მაიაკოვსკის ქანდაკებას, რომელიც დაიდგმება ქუთაისის ყოფილი კლასიკური გიმნაზიის შენობის ეზოში (ამჟამად პირველი საშუალო სკოლა). აქ სწავლობდა და ახალგაზრდობის რევოლუციურ გამოსვლებში მონაწილეობას იღებდა მომავალი პოეტი. სურათზე: ვ. მიზანდარი და გ. ნიკოლაძე მუშაობენ ვლადიმერ მაიაკოვსკის ქანდაკებაზე.

ფოტო დ. კაკიტელაშვილისა.

მხატვრული ფილმების საუკეთესო სცენარებზე სრულიად საკავშირო კონკურსისათვის

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 40 წლისთავის აღსანიშნავად მხატვრული ფილმების საუკეთესო კინოსცენარებზე გამართული კონკურსის წარმატებით ჩატარების მიზნით საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრომ გადაწყვიტა კონკურსის მონაწილეთა დასახმარებლად მოაწყოს კინოსტუდია „ქართულ ფილმში“ ღია კარების დღე.

ამ დღეს ყველას, ვისაც სურს მონაწილეობა მიიღოს კონკურსში, შესაძლებლობა ექნება გაეცნოს კინოსტუდიისა და გადამღები ჯგუფების მუშაობას მხატვრულ ფილმებზე, აგრეთვე მიიღოს საპირო კონსულტაცია კინოდრამატურგიისა და კონკურსის საკითხებზე.

ღია კარების დღე ეწყობა ორშაბათობით 12-დან 18 საათამდე.

დანარჩენ დღეებში კონკურსის მონაწილეებს სათანადო კონსულტაციის მისაღებად შეუძლიათ მიმართონ კონკურსის რესპუბლიკურ საორგანიზაციო კომიტეტს საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროში (ოთახი № 40).

ალექსი სურკოვის რჩეული ლექსები ქართულ ენაზე

სახელგამმა გამოსცა ცნობილი საბჭოთა პოეტის ალექსი სურკოვის „რჩეული ლექსები“.

წიგნში შესულია 1925 წლიდან 1953 წლამდე დაწერილი ლექსები. წიგნი შედგება შემდეგი განყოფილებებისაგან: სიმღერის დასაწყისი; თანატოლები; მამაცთა საშობლო; სიმღერის გზით; ჩვენ ასე ვიზრდებით; ეს იყო ჩრდილოეთში; სიმღერები, ხალხური სიმღერების მოტივებზე; დეკემბერი მოსკოვის მისადგომებთან; დასავლეთისაკენ მივყავართ გზებს; მეომრის გული; მე ვუმღერ გამარჯვებას; მსოფლიოს მშვიდობა; გზები.

ლექსების თარგმანები შესრულებულია ი. არაბულის, ხ. ბერულავას, კ. ბობოხიძის, ვ. გორგაძის, ვ. გორგანელის, ნ. გურეშიძის, რ. თვარაძის, გ. კალანდაძის, გ. კაჭახიძის, ო. კუპრავას, ვ. ლაფერაშვილის, კ. ლორთქიფანიძის, ა. მარცხულავას, ი. ნონუშვილის, მ. ფოცხიშვილის, მ. ქვლივიძის, თ. ჩხენკელის, გ. ცეცხლაძის, კ. ჭიჭინაძის და ი. ხოშტარიას მიერ.

წიგნს დართული აქვს ავტორის პორტრეტი.

წიგნი შეიცავს 246 გვერდს, რედაქტორია კ. ბობოხიძე, მხატვარი ლ. ავალიანი. წიგნის ფასია 6 მან. და 60 კაპ.

„მაია წყნეთელი“ კულტურის სახლის სცენაზე

დუშეთი. (საკ. კორ.). კარგად მუშაობს დუშეთის რაიონულ კულტურის სახლთან არსებული დრამატული წრე.

წრის წევრებმა ამ დღეებში მაყურებელს უჩვენეს ვ. კანდელაკის ჰეროიკული კომედია „მაია წყნეთელი“.

როლების შესრულებით მაყურებელთა მოწონება დაიმსახურეს ნ. დავითურმა (მაია), ვ. გოზიტაშვილმა (ერეკლე მეორე), ბ. გამიაშვილმა (თავადი ამილახვარი), ტ. მოლოდიშმა (ანდუყაფარი), ს. უმბრიეიმა (ქერიმ-აღა) და სხვებმა.

წრის წევრები თავიანთ სპექტაკლს რაიონის შორეულ სოფლების კოლმეურნეებსაც უჩვენებენ.

ახალი წიგნები

სალტიკოვ-შჩედრინი—ბატონი გოლოვლიოვები, სახელგამი, თბილისი, 1956 წ. მთარგმნელები ც. ჩხეიძე და თ. კობლატაძე, ტირაჟი 10.000, გვ. 369, ფასი 6 მან.

ნ. ჯაში — ქართული საბჭოთა არქიტექტურა (თბილისის მაგალითზე). გამომცემლობა „ზარია ვოსტოკა“, თბილისი, 1956 წელი. ტირაჟი 5.000, გვ. 149, ფასი 20 მან. 50 კაპ.

ც. გაბაშვილი — პორტალები ქართულ არქიტექტურაში. „ტექნიკა და შრომა“, თბილისი, 1955 წელი. ტირაჟი 1.500, გვ. 70 და 63 ტაბულა, ფასი 19 მან. 25 კაპ.

ი. ურჯუმელაშვილი—თანატოლები (რომანი), სახელგამი, თბილისი, 1956 წ. ტირაჟი 7.000, გვ. 209, ფასი 4 მან. 30 კაპ.

ლ. ჟიჟინაძე—სახსოვარი (საბავშვო მოთხრობები), საბლიტგამი, თბილისი, 1956 წ. ტირაჟი 10.000, გვ. 60, ფასი 1 მან. 95 კაპ.

ა. ხუნდაძე—შრომითი აღზრდისათვის საბავშვო სახლში, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სამეცნიერო-მეთოდური კაბინეტის გამომცემლობა, თბილისი, 1956 წ. ტირაჟი 2.000, გვ. 37, ფასი 1 მან. 25 კაპ.

დ. კაპანაძე — ქართული ნუმიზმატიკა. სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა. მოსკოვი, 1955 წელი. ტირაჟი 2.500, გვ. 185, ფასი 12 მან. 25 კაპ.

მივბაძოთ მოწინავეებს, დავაჩქაროთ თესვის ბოლო ეროვნული ტიტიფონის ველ ფიტლიოთეკა

ტირიფონის ველ ფიტლიოთეკა

ხელისგულივით გაშლილა ტირიფონის ველი. წლევანდელი გაზაფხულის დამდეგის დამახასიათებელი ცივი, წვიმიანი ამინდი მზიანი, თბილი დღეებით შეიცვალა. მეექვსე ხუთწლედის პირველი წლის გაზაფხული ძალაში შევიდა.

მინდვრად გავიდნენ სატრაქტორო და მემინდვრეობის ბრიგადები. გორის რაიონის მარტო ახალსოფლის მტს-ის მომსახურების კოლმეურნეობებმა ამ გაზაფხულზე 3.760 ჰექტარი სიმინდი უნდა დათესონ, აქედან კვადრატულ-ბუდობრივად — 1.000 ჰექტარი. სიმინდის თესვა გაჩაღდა მტს-ის ზონაში შემავალ თერთმეტსავე კოლმეურნეობაში.

მინდვრის სამუშაოებში დაწინაურებულნი

სისხამ დილიდან გვიან ღამემდე ხალისიანი შრომაა სოფელ შავშვების მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის ბაღ-ვენახებში, სახნავ-სათესებსა და ხოდაბუნებში. შავშვებელი კოლმეურნეები მექანიზატორებთან მტკიცე თანამეგობრობით წარმატებით შეუდგნენ პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებებით მათ წინაშე დასახული ამოცანების შესრულებას. შემჭიდროებულ ვადებში დათესეს საადრეო საგაზაფხულო კულტურები: ქერი, ხორბალი. ოთხმოცდაექვს ჰექტარ ფართობზე ხუთ დღეში დაამთავრეს შაქრის ჭარხლის თესვა. ახლა სწრაფად თესავენ სიმინდს, საკვებ კულტურებს, ატარებენ ხეხილის მეორე წამლობას, საშემოდგომო ხორბლის ნათესების საუქებით გამოკვებას, დაზიგზაგებას, ბაღებში და ბოსტნეულის ჩითილის დასარგავად განკუთვნილ ნაკვეთებში დამატებით ეზიდებიან სასუქებს.

კოლმეურნეობას ემსახურება ახალსოფლის მტს-ის მეშვიდე სატრაქტორო ბრიგადა, რომელსაც გამოცდილი მექანიზატორი ე. დუდაშვილი ხელმძღვანელობს. ამ სატრაქტორო ბრიგადის ორი სათესი მანქანა ყოველდღიურად გეგმით გათვალისწინებული 16 ჰექტარის ნაცვლად 20-21 ჰექტარ სიმინდს თესავს კვადრატულ-ბუდობრივად. ტრაქტორისტები ს. ბოლოთაშვილი და ა. დონღუზაშვილი ერთმანეთს ეჯიბრებიან სიმინდის მაღალხარისხოვნად თესვაში. მათ კოლმეურნეობას უკვე დაუთესეს 250 ჰექტარზე მეტი.

— სიმინდის პროგრესული წესით თესვის უპირატესობაში, — განაცხადა საუბარში კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ამხ. ნადია ბუჯიაშვილმა, — შავშვებელი კოლმეურნეები პრაქტიკულად დარწმუნდნენ. შარშან კვადრატულ-ბუდობრივად ნათესიდან საშუალოდ ჰექტარზე 55 ცენტნერი სიმინდი მოვიყვანეთ. ეს ორჯერ მეტია ჩვეულებრივ ნათესთან და ორნახევარჯერ მეტი გეგმიან დავალებასთან შედარებით. ამასთან მის დამუშავებაზე 20-25 პროცენტით ნაკლები შრომა დაგვეხარჯა.

ამ გამოცდილებას კარგად იყენებენ წელს შავშვებელი კოლმეურნეები. ისინი ყველგან, სადაც კი ეს შესაძლებელია, სიმინდს სულ კვადრატულ-ბუდობრივად თესავენ. კოლმეურნეობის მემინდვრეობის მეცხრე ბრიგადამ (ხელმძღვანელი რ. ქოქაშვილი) ერთ დღეში კვადრატულ-ბუდობრივად 4 ჰექტარი სიმინდი დათესა.

შავშვებელი კოლმეურნეები, ისევე როგორც გორის რაიონის ყველა კოლმეურნე, გულდასმით გაეცნენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიმართვას სოფლის მეურნეობის ყველა მუშაკისადმი მიმდინარე წლის სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების წარმატებით ჩატარების შესახებ. მათი საერთო ვალდებულებაა წელს 86 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე საშუალოდ მოიყვანონ 500 ცენტნერი შაქრის ჭარხალი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 380 ცენტნერისა, 350 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე — 30 ცენტნერი სიმინდი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 20 ცენტნერისა, ხოლო 80 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე აიღონ 200 ცენტნერი სიმინდის მწვანე მასა ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 130 ცენტნერისა.

ამ ვალდებულებათა განაღდება შავშვებელ კოლმეურნეებს არ გაუჭირდებათ, რადგან თესვისათვის ნიადაგს კარგად ამზადებენ, თესავენ ხარისხიანად და კარგი თესლით.

სიმინდის კვადრატულ-ბუდობრივი თესვა დაჩქარებით მიმდინარეობს სოფელ ზერბუეთის კოლმეურნეობაშიც. აქ ტრაქტორისტი ვ. გამხუაშვილი ყოველდღიურად 10 ჰექტარს თესავს ნაცვლად გათვალისწინებული 8 ჰექტარისა. სიმინდის პროგრესული წესით თესვა კარგად არის მოწყობილი სოფელ ზეღდულეთის კოლმეურნეობაშიც.

არ დავუშვათ ტექნიკის მოცდენის შემთხვევები

მიუხედავად იმისა, რომ თესვა დაგვიანებით დაიწყო და ახლა ერთი წუთის დაკარგვაც არ შეიძლება, ახალსოფლის მტს-ის ზოგიერთ სატრაქტორო ბრიგადაში ტექნიკის მოცდენის ცალკეული შემთხვევებია.

16 აპრილს სოფელ ნადარბაზევის კოლმეურნეობაში მერვე სატრაქტორო ბრიგადამ სიმინდის კვადრატულ-ბუდობრივი თესვის დავალება სანახევროდაც ვერ გაანაღდა, რადგან სათესი მანქანის მომსახურე კოლმეურნეები კარგად ვერ ფლობენ საქმეს. პროგრესული წესით თესვის პრაქტიკულად მოწყობაში ცუდად ერკვეოდა კოლმეურნეობის აგროტექნიკოსი ლ. ცერცვაძეც. მან თავის გამართლება იმით სცადა, რომ ტექნიკუმი ახალი დამთავრებული მაქვს და პირველად მიზდება მუშაობაო.

იყო უწესივრობის მიზეზით სათესი მანქანის მოცდენის ფაქტიც. მესამე სატრაქტორო ბრიგადის (ხელმძღვანელი ა. შიოშვილი) სიმინდის კვადრატულ-ბუდობრივად სათესი მანქანა სოფელ ხელოუბნის კოლმეურნეობა „განთიადში“ თესვის დაწყების პირველსავე დღეს გაფუჭდა. გამომთესი აპარატი სწორად ვერ თესავდა. ამ მიზეზით მანქანა მთელ დღეს მოცდა. სოფელ ზერტის კოლმეურნეობაში ოთხი დღე გაცდა „ს-80“ მარკის ტრაქტორი გვერდითი გადაცემის საკისრის გაფუჭების გამო. ეს ნაწილი მტს-ს არა აქვს.

საჭიროა ახალსოფლის მტს-ის დირექციამ, ამ მტს-ის ზონაში პარტიის რაიკომის ინსტრუქტორთა ჯგუფმა ეს ნაკლოვანებანი სწრაფად გამოასწორონ, ისე გაანაწილონ ძალები, რომ თესვაზე მაქსიმალურად იქნას გამოყენებული თვითეული დღე და საათი.

მ. ხეთაგური,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

გავუთანასწორდეთ მოწინავეებს

გაზაფხულის მზიანი დღეებია. კაჭრეთის მტს-ის მექანიზატორები მასობრივად გავიდნენ მინდვრად. დღედაღამ გუგუნებენ ტრაქტორები. საფუძველი ეყრება მიმდინარე წლის უხვ მოსავალს.

საგაზაფხულო სამუშაოებზე თავი ისახელა მტს-ის მერვე სატრაქტორო ბრიგადამ (ხელმძღვანელი გ. ფროდიაშვილი). ამ ბრიგადის მექანიზატორებმა კაჭრეთის კიროვის სახელობის კოლმეურნეობის მინდვრებზე 9 სამუშაო დღეში 200 ჰექტარი დათესეს. წარმატებები მოიპოვეს ტრაქტორისტებმა გ. მთავრიშვილმა, ს. მამისაშვილმა და ი. სოლოლოაშვილმა.

დაწინაურდნენ მესამე და მეოთხე სატრაქტორო ბრიგადები (ხელმძღვანელები თ. ბაკანაძე და ი. ქიტოშვილი), რომლებმაც მოკლე ვადებში ათობით ჰექტარი ქერი, მზესუმზირა და სხვა კულტურები დათესეს.

მექანიზატორების მხარდამხარ დაუღალავად შრომობენ კიროვის სახელობის კოლმეურნეობის იმ ბრიგადის წევრები, რომელსაც ანა მთავრიშვილი ხელმძღვანელობს.

მევენახეობა კოლმეურნეობის წამყვანი, შემოსავლიანი დარგია. ამიტომ კაჭრეთელ კოლმეურნეებს განსაკუთრებით უყვართ ვაზი. ამ გაზაფხულზე კიროველებმა წარმატებით დაიწყეს ვენახის სამუშაოები. 73 ჰექტარზე მაღალხარისხოვნად ჩაატარეს რიგთა შორის ხვნა, დაამთავრეს ვაზის სხვლა, 45 ჰექტარზე ძირების გამობარვა და სხვ. ამ საქმეში თავი ისახელა მევენახეობის მეხუთე ბრიგადამ (ხელმძღვანელი ნ. რამაზაშვილი). უფრო მეტი წარმატება მოიპოვა ამავე ბრიგადის იმ რგოლმა, რომელსაც გ. ოთიაშვილი ხელმძღვანელობს. ბრიგადამ შარშან 22,8 ჰექტარი მსხმოიარე ვენახის თვითეულ ჰექტარზე 57,6 ცენტნერი ყურძენი მიიღო. მან წელს ვალდებულება იკისრა საშუალოდ ჰექტარზე 70 ცენტნერი მოსავალი მიიღოს.

კარგად მიმდინარეობს საგაზაფხულო სამუშაოები სოფელ ჩალაუბნის კრუპსკაიას სახელობის, სოფელ მელაანის ლენინიზმის სახელობის და სხვა კოლმეურნეობებში. ჯიმითის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობაში 80 ჰექტარი მზესუმზირა კვადრატულ-ბუდობრივად დათესეს, წარმატებით დაამთავრეს კარტოფილის თესვა კაჭრეთის კიროვის, ჩალაუბნის კრუპსკაიასა და ნანიანის კალინინის სახელობის კოლმეურნეობებმა.

მაგრამ ასე როდი ითქმის ყველა კოლმეურნეობაზე. კაჭრეთის მტს-ის ზონის ზოგიერთი კოლმეურნეობა საგაზაფხულო სამუშაოებს მოუმზადებელი შეხვდა. სოფელ არაშენდას მალენკოვის სახელობის კოლმეურნეობაში მინდვრის სამუშაოები გაჭიანურდა. ფაქტები მეტყველებენ, რომ რაიონში ნაკლებ ყურადღებას აქცევენ პროგრესული წესით თესვას. ნანიანის კალინინის სახელობის კოლმეურნეობაში 130 ჰექტარიდან მზესუმზირა კვადრატულ-ბუდობრივად 30 ჰექტარზე დათესეს. სამარცხვინო მაჩვენებელი აქვთ პროგრესული წესით თესვაში სოფელ ზიარის უდანოვის სახელობის, სოფელ მახარაძის კაგანოვიჩის სახელობის კოლმეურნეობებს. აღნიშნული კოლმეურნეობები კარტოფილისა და ბოსტნეულის ჩითილის რგვაშიც ჩამორჩებიან. ამის მიზეზი კი ის არის, რომ კოლმეურნეობათა გამგეობებმა დროულად არ იზრუნეს სათესლე მასალის მომარაგებისათვის. წელს არ დაუმზადებიათ ტორფნეშომაღლის ქოთნები, არ იყენებენ მინერალურ და ორგანულ სასუქებს, ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა ნათესების რწყვას. გააჭიანურეს კვალსათბურების მოწყობა.

თესვის გადამწყვეტი დღეები დადგა. მთელი ძალები უნდა დავრაზმოთ თესვის გეგმის მოკლე ვადებში შესრულებისათვის. უამისოდ მაღალ მოსავალზე ლაპარაკი ლიტონი სიტყვა იქნება.

ბ. ხეჩუაშვილი,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.





სიმინდის თესვა კვადრატულ-ბუდობრივად კაჭრეთის რაიონის სოფელ კაჭრეთის კიროვის სახელობის კოლმეურნეობაში. სურათებზე: 1. კოლმეურნეობის თავმჯდომარე გ. მთავრიშვილი (მარჯვნივ) და აგრონომი ნ. ნარიაშვილი ამოწმებენ თესვის ხარისხს. 2. კაჭრეთის მტს-ის მერვე სატრაქტორო ბრიგადის ტრაქტორისტი რ. ზაკალაშვილი, რომელიც სიმინდის კვადრატულ-ბუდობრივად თესვის ყოველდღიურ დავალებას გადაჭარბებით ასრულებს.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი

პრაღა, 26 აპრილი. (საკდესი). როგორც ჩეხოსლოვაკიის დეპეშათა სააგენტო იუწყება, 19 და 20 აპრილს პრაღაში მიმდინარეობდა ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი. პლენუმზე გაგრძელდა იმ დასკვნების განხილვა, რომლებიც ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიისათვის გამოდინარეობს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებებიდან.

კამათის მსვლელობაში, რომლის დროსაც გამოვიდა 44 კაცი, პლენუმმა განიხილა წინადადებანი, რომლებიც პარტიულმა ორგანიზაციებმა შეიტანეს ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ამასწინანდელი პლენუმის შედეგების განხილვისას, აგრეთვე ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1956 წლის 30 მარტის რეზოლუციის კონკრეტულ განხორციელებასთან დაკავშირებული საკითხები.

ცენტრალურმა კომიტეტმა აღნიშნა, რომ ამ საკითხების განხილვა ყველა პარტიულ ორგანიზაციაში მიმდინარეობს პარტიის წევრთა აქტიური მონაწილეობით, პარტიული და საზოგადოებრივი ცხოვრების ნაკლოვანებათა მწვავე კრიტიკის ნიშნით. პარტიული ორგანიზაციები აცხადებენ, რომ მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი დიდი აქტივობა გამოიჩინონ ნაკლოვანებათა აღმოფხვრაში და უფრო ქმედითად უზრუნველყონ ამოცანების შესრულება პარტიის გენერალური ხაზის განხორციელების დროს.

ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა დაადგინა, რომ პარტიული კონფერენციამდე შემუშავებულ იქნას ყველაზე გადაუდებელი ღონისძიებანი სახალხო მეურნეობის დაგეგმვისა და მისი ხელმძღვანელობის გაუმჯობესებისათვის, ეკონომიური და უწყებრივი აპარატების მუშაკთა რიცხვის შემცირებისათვის, ადმინისტრაციული ორგანოების არსებული სისტემის განმტკიცებისათვის, მთავრობის მუშაობის დონის ამაღლებისა და შემდგომი დეცენტრალიზაციის განხორციელებისათვის, ისე, რომ ამავე დროს ამაღლდეს სახალხო კომიტეტების როლი. შემდეგ, ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა შეიმუშავა დირექტივები, რომელთა მიხედვით სოციალისტური კანონიერების განსამტკიცებლად უნდა დაჩქარდეს მთელ რიგ ღონისძიებათა მომზადება, რომლებიც ეხება სასამართლოსა და პროკურატურას, და შეიქმნას სასამართლო გამომძიებელთა ორგანო.

ამავე დროს პლენუმმა მიიღო მთელი რიგი ღონისძიებანი პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის, როგორც პარტიის ყრილობებს შუა პერიოდში პარტიის უმაღლესი ორგანოს, როლის გაძლიერებლად.

ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ამავე დროს მოიწონა ღონისძიებანი, რომელთა შედეგად მნიშვნელოვნად გაძლიერდება მასობრივი ორგანიზაციების, უწინარეს ყოვლისა პროფკავშირების როლი, და მომზადდება ერთიანი მასობრივი ნებაყოფლობითი სპორტული ორგანიზაციის შექმნა.

გათვალისწინა რა იმ დასკვნების მნიშვნელობა, რომლებიც გაკეთდა ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ორ უკანასკნელ პლენუმზე შემდგომი პარტიული მუშაობისათვის, ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა დაადგინა შეტანილ იქნას პარტიული კონფერენციის დღის წესრიგში პირველ პუნქტად საკითხი: „თანამედროვე მდგომარეობა და პარტიის ამოცანა“.

ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წინადადებით გამოიყვანა ამხ. ალექსი ჩეპიჩკა ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრთა შემადგენლობიდან, გამოიწვია იგი პრემიერ-მინისტრის პირველი მოადგილის და ეროვნული თავდაცვის მინისტრის თანამდებობიდან იმ ნაკლოვანებებისა და შეცდომების გამო, რომლებიც მან დაუშვა სახელმწიფო და პარტიული მუშაობის შესრულების დროს.

ჩეხოსლოვაკიის დეპეშათა სააგენტოს ცნობა

პრაღა, 26 აპრილი. (საკდესი). როგორც ჩეხოსლოვაკიის დეპეშათა სააგენტო იუწყება, პრემიერ-მინისტრ ვილიამ შიროკის წარდგინებით, ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილების საფუძველზე და ჩეხოსლოვაკიის ეროვნული ფრონტის ცენტრალური კომიტეტის მიერ განხილვის შემდეგ ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის პრეზიდენტმა ა. ზაპოტოცკიმ გაათავისუფლა ა. ჩეპიჩკა პრემიერ-მინისტრის პირველი მოადგილის და ეროვნული თავდაცვის მინისტრის მოვალეობისაგან და ეროვნული თავდაცვის მინისტრად დანიშნა ბოგუმირ ლომსკი.

პრეზიდენტ ხო ში მინის ინტერვიუ ინგლისური გაზეთის კორესპონდენტისადმი

ხანოი, 26 აპრილი. (საკდესი). როგორც ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტო იუწყება, ინგლისურ გაზეთ „დეილი ექსპრესის“ კორესპონდენტთან საუბრის დროს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტმა ხო ში მინმა განაცხადა, რომ ნ. ა. ბულგანინისა და ნ. ს. ხრუშჩოვის ინგლისში მოგზაურობა გაადუმჯობესებს ორივე ქვეყნის ურთიერთობას და ხელს შეუწყობს ევროპასა და მთელ მსოფლიოში მშვიდობის დაცვის საქმეს. ამასთანავე ხო ში მინმა აღნიშნა, რომ ეს მოგზაურობა ხელსაყრელი შემთხვევაა მოლაპარაკებისათვის იმ პრობლემების გადასაჭრელად, რომლებიც ვიეტნამს შეეხება.

შეეხო რა ვიეტნამში არსებულ მდგომარეობას, პრეზიდენტმა ხო ში მინმა აღნიშნა, რომ სამხრეთ ვიეტნამის ხელისუფლები კვლავ სერიოზულად არღვევენ ჟენევის შეთანხმებებს.

კითხვაზე, თუ როგორ ეკიდება იგი ამ დარღვევებს, აგრეთვე ვიეტნამში საფრანგეთის ჯარების უმაღლესი სარდლობის დაშლას, პრეზიდენტმა ხო ში მინმა უპასუხა, რომ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა მის განკარგულებაში არსებული ყველა მშვიდობიანი საშუალებით იბრძოლებს ჟენევის შეთანხმებათა ზუსტად დაცვისათვის.

დასასრულ პრეზიდენტმა ხო ში მინმა განაცხადა, რომ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა მზად არის დიპლომატიური და სავაჭრო ურთიერთობა დამყაროს ყველა ქვეყანასთან თანასწორობისა და ურთიერთსარგებლობის საფუძველზე.

ფოტოდოკუმენტები გრალს დეგენ



სურათზე: გამოსასვლელი კრისის კარკასი.



სურათზე: კაბელის მონტაჟი შეერთების ადგილას.

ბერლინი. საბჭოთა ჯარების ჯგუფის მეკავშირეებმა გერმანიაში ალტგლინიკეს რაიონში აღმოაჩინეს ხვრელი, რომელიც ამერიკის სამსახურს გაუყვანია საბჭოთა ჯარების კავშირგაბმულობის ხაზებამდე, აგრეთვე გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კავშირგაბმულობის ხაზებამდე.

ამერიკის სამსახურს მოუწყვია გვირაბი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიაზე. გვირაბში ბერლინის ამერიკული სექტორიდან გაყვანილი იყო კაბელები. ისინი შეერთებული იყო იმ კაბელებთან, რომლებიც მომსახურებას უწევენ საბჭოთა ჯარებს. აღმოჩნდა ამერიკის ტელეფონის კროსები და სხვა აპარატურა ტელეფონთელეპარაკის მოსასმენად. გვირაბი მთავრდება გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიაზე სპეციალურად მოწყობილი ჭით.

ინგლის-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საღამო

საქართველოს უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საზოგადოებაში გაიმართა ინგლის-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საღამო. საღამოს დაესწრნენ კულტურის, მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეები, საწარმოთა მუშაკები, თბილისის საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები.

სსრ კავშირისა და ინგლისის კულტურული ურთიერთობის შესახებ მოხსენება გააკეთა საბჭოთა ქალების ანტიფაშისტური კომიტეტის წევრმა პროფესორმა ნ. ჯავახიშვილმა. მან ილაპარაკა, თუ რა დიდ ინტერესს იჩენენ საბჭოთა ადამიანები ინგლისელი ხალხის ცხოვრებისა და კულტურისადმი, როგორ ფართოვდება და ვითარდება კულტურული ურთიერთობა საბჭოთა კავშირსა და ინგლისს შორის. მშვიდობის განმტკიცების, ინგლის-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის გაუმჯობესების საქმეს ხელს შეუწყობს ამხანაგების ნ. ა. ბულგანინისა და ნ. ს. ხრუშჩოვის მოგზაურობა ინგლისში.

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტმა გ. გაჩეჩილაძემ, ინგლისელი მწერლების ნაწარმოებთა ერთ-ერთმა მთარგმნელმა ქართულ ენაზე, ილაპარაკა, თუ რა დიდად იფასებს საქართველოს საზოგადოებრიობა ინგლისის მოწინავე კულტურას. თბილისის უცხო ენათა პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტმა ჯ. კალანდაძემ ილაპარაკა, თუ რა ინტერესს იჩენს ახალგაზრდობა ინგლისის კულტურის, მეცნიერების, ლიტერატურისადმი.

საღამოს დასასრულს შეკრებილთ უჩვენეს უ. შექსპირის „ოტელოს“ და ბ. შოუს „პიგმალიონის“ ნაწყვეტები. როლებს ასრულებდნენ სსრ კავშირის სახალხო არტისტები ა. ხორავა, ა. ვასაძე, საქართველოს სსრ სახალხო არტისტები ა. თოიძე, ს. ზაქარიაძე, საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი მ. ჯაფარიძე. კომპოზიტორმა ა. მაჭავარიანმა ფორტეპიანოზე შეასრულა თავისი ახალი ბალეტის „ოტელოს“ ნაწყვეტი. (საკდესი).

გურჯაანი. ახალი სამსართულიანი საცხოვრებელი სახლი სტალინის ქუჩაზე.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲙᲔ

სსრ კავშირსა და გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის კულტურული და მეცნიერული თანამშრომლობის თაობაზე შეთანხმების ხელმოწერის შესახებ

საბჭოთა კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობათა დელეგაციებს შორის მოლაპარაკების შედეგად, რომელიც გულწრფელი მეგობრობისა და სრული ურთიერთგაგების ვითარებაში მიმდინარეობდა, 1956 წლის 26 აპრილს მოსკოვში ხელი მოაწერეს შეთანხმებას საბჭოთა კავშირისა და გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის კულტურული და მეცნიერული თანამშრომლობის შესახებ.

ეს შეთანხმება ითვალისწინებს სსრ კავშირსა და გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის კულტურული და მეცნიერული ურთიერთობის შემდგომ ყოველმხრივ განვითარებასა და განმტკიცებას, კულტურის, მეცნიერების, ლიტერატურის, უმაღლესი განათლების, სწავლის დარგში გამოცდილებისა და მიღწევების ფართო ურთიერთგაზიარებას და სხვ.

შეთანხმებას ხელს აწერენ: სსრ კავშირის მთავრობის რწმუნებით სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ვ. ს. სემიონოვი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის რწმუნებით სახალხო განათლების მინისტრი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმის წევრი ფრიც ლანგე.

იმავე დღეს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ვ. ს. სემიონოვმა საუზმე გამართა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაციის პატივსაცემად.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო პალატის დელეგაციის მოსკოვში

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო პალატის დელეგაცია, რომელიც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მოწვევით მოსკოვში ამყოფება სახალხო პალატის თავმჯდომარის დოქტორ ი. დიკმანის მეთაურობით, 26 აპრილს მიიღეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს თავმჯდომარემ ა. ბ. ვოლკოვმა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარემ ვ. ტ. ლაბისმა. მიესალმა რა სტუმრებს, ა. ბ. ვოლკოვმა თქვა, რომ გერმანელი ხალხის წარმომადგენლებს გულითადად მიიღებენ ყველგან, სადაც ისინი მივლენ. შემდეგ განხილულ იქნა საბჭოთა კავშირში დელეგაციის ყოფნის პროგრამა.

მიღებას დაესწრნენ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში ი. კენიგი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ოქმის უფროსი გ. ი. ფომინი, გერმანელი და საბჭოთა ჟურნალისტები.

* * *

შემდეგ სტუმრებმა დაათვალიერეს კრემლის დიდი სასახლე — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზი, გიორგისა და ალადიმერის დარბაზები, წახნაგოვანი პალატა, კოშკის სასახლე.

გერმანიის დელეგაცია ამავე დღეს მიიღო რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ მ. ბ. ტარასოვმა.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო პალატის დელეგაციამ საღამოს სსრ კავშირის დიდ თეატრში ნახა ასაფიევის ბალეტი „ბაღჩისარაის შადრევანი“. (საკდესი).

ინდონეზიის კომუნისტური პარტიის წერილი

პეკინი, 26 აპრილი. (საკდესი). როგორც სინხუას საგანგებო კორესპონდენტი ჯაკარტადან იუწყება, ინდონეზიის კომუნისტურმა პარტიამ გამოაქვეყნა წერილი ინდონეზიის მშრომელებისადმი, რომელშიც მოუწოდებს მათ იბრძოლონ ომის წინააღმდეგ, მშვიდობის დასაცავად და ინდონეზიაში ჰოლანდიის ეკონომიური ბატონობის მოსპობისათვის.

წერილში აღნიშნულია, რომ ბანდუნგისა და ჟენევის სულისკვეთება და ხალხთა შორის მშვიდობიანი თანაარსებობისა და მეგობრობის იდეები ღრმად დამკვიდრდა ადამიანთა შეგნებაში.

შემდეგ კომუნისტური პარტია აცხადებს წერილში, რომ ინდონეზიაში დაიმხო რეაქციული მთავრობა, გაუქმდა მრგვალი მაგიდის კონფერენციის შეთანხმებანი და დღითიდღე მტკიცდება ეროვნული ერთიანობა, რომელსაც საფუძვლად უდევს ახლანდელი კაბინეტის ანტიკოლონიური და ანტიაგრესიული პროგრამა. ყოველივე ეს უნდა გახდეს დამოუკიდებლობის განმტკიცების, დემოკრატიის საფუძვლების გაფართოებისა და მშვიდობის უზრუნველყოფის სტიმული. ხალხი კვლავ უნდა ადევნებდეს თვალყურს რეაქციული ჯგუფების მოქმედებას, რომელნიც, უეჭველია, ყოველ შესაძლებლობას გამოიყენებენ წინანდელი მდგომარეობის აღსადგენად.

დამთავრდა პირველი საავტომობილო ქარხნის მშენებლობა ჩინეთში

პეკინი, 26 აპრილი. (საკდესი). ჩანჩუნში დამთავრდა ჩინეთის სამამულო ავტომობილმშენებლობის პირველი ქარხნის მშენებლობა. როგორც სინხუას საგანგებო იუწყება, ზოგიერთი საამქრო უკვე მთელი დატვირთვით მუშაობს. პირველი სატვირთო ავტომობილი კონვეიერიდან გადმოვა მომდინარე წლის 1 ოქტომბერს— ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დაარსების მეშვიდე წლისთავზე.

ქარხნის მშენებლობა ორნახევარ წელიწადს გრძელდებოდა.

ამერიკელ მშენებელთა დელეგაციის მომავალი გამომგზავრება სსრ კავშირში

ვაშინგტონი, 26 აპრილი. (საკდესი). საბინაო მშენებლობის ეროვნულმა ასოციაციამ დღეს გამოაცხადა, რომ ამერიკელ მშენებელთა დელეგაცია ამა წლის ზაფხულში 30 დღეს ამოგზაურებს საბჭოთა კავშირში.

ასოციაციის ცნობაში მოყვანილია მისი თავმჯდომარის ჰაგერსტიკის განცხადება. „ამ მოგზაურობის დროს, — თქვა მან, — იმედი გვაქვს გავიცნოთ საბინაო მშენებლობა საბჭოთა კავშირში. მოგზაურობით დამთავრდება ინფორმაციის გაცვლა, რომელიც დაიწყო იმ დროს, როცა შარმან შემოდგომაზე საბჭოთა კავშირის საბინაო მშენებლობის მუშაკთა დელეგაციამ ჩვენი ქვეყანა ინახულა როგორც საბინაო მშენებლობის ეროვნული ასოციაციისა და მასთან დაკავშირებული ადგილობრივი ასოციაციების სტუმარმა...

საბინაო მშენებლობის შესახებ ინფორმაციის ურთიერთ გაცვლას... არ შეიძლება ძვირფასი მნიშვნელობა არ ექნეს ორივე ქვეყნის საცხოვრებელი სახლების მშენებელთათვის, მიუხედავად ჩვენი სისტემების მთელი განსხვავებისა.

ჩვენ ეს გაცვლა მიგვაჩნია ნაბიჯად შეერთებული შტატებისა და საბჭოთა კავშირის ხალხებს შორის ურთიერთგაგების გაუმჯობესების გზაზე“.

ამერიკის დელეგაციის შემადგენლობაში იქნება საბინაო მშენებლობის 16 სპეციალისტი.

დღეს
თბილისის თეატრებში

ოპერისა და ბალეტის — ჩიო-ჩიო-სან, რუსთაველის სახელობის — კონცერტი, მარჯანიშვილის სახელობის — რას იტყვის ხალხი, გრიბოედოვის სახელობის — თოლია, მუსიკალური კომედიის — ბრწყინვალე მომავალი, მოზარდ მაყურებელთა ქართული — გლახის ნაამბობი (აბონემენტი № 50, 7 ს.), მოზარდ მაყურებელთა რუსული — ჭილყვავი გაზაფხულის ფრინველია (9 ს. და 30 წ.), ცისფერი და ვარდისფერი (7 ს.).

კინოთეატრებში

რუსთაველის სახელობის, ამირანი, ოქტომბერი, ისანი, პლეხანოვისა და ვოროშილოვის სახელობის კლუბები — ზღვა ეძახის, სპარტაკი, თბილისი, კოლხიდა, 26 კომისრის სახელობის — ქალიშვილი ბომბეიდან, დიდუბე, კიროვის სახელობის პარკი, კომუნარების ბაღი—მენაღარის შვილიშვილები, ოფიცერთა სახლი, ძერჟინსკის სახელობის კლუბი — ლედი ჰამილტონი, კომკავშირელი — ვინ არის დამნაშავე, კოლმეურნე—გაცრუებული ოცნებები.

რუსთაველის სახელობის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი

სამშაბათს, 1 მაისს და ოთხშაბათს, 2 მაისს

დღისით და საღამოს

განახლებული დადგმა

რღვევა

პიესა 4 მოქმედებად

დადგმა სანდრო ახმეტელისა (რესპუბლიკის სახალხო არტისტი), მხატვარი ირაკლი გამრეკელი (ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე). თეატრის ფოიეში ფოტოსურათების, დადგმების ესკიზებისა და მაკეტების გამოფენა.

დასაწყისი საღამოს 8 ს., დღისით — 12 საათზე.

დისერტაციების დაცვა
თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი

(მელიქიშვილის ქ. № 10)

ა. წ. 8 მაისს დღის 1 საათზე მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად დისერტაციას დაიცავენ:

1. ეთერ დავითის ასული ონიაშვილი

—თემაზე „მასალები ჩვილ ბავშვთა ფილტვების ანთების პათოგენეზისა და კლინიკისათვის“.

2. ცოტნე შალვას-ძე ჩხიკვიშვილი

— თემაზე „უმაღლესი ნერვული მოქმედების ზოგიერთი ძვრების შესახებ თავის ქალას დახურული ტრავმების (კომოციური სინდრომი) დროს“.

დისერტაციების გაცნობა შეიძლება სამედიცინო ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში (თარხნაშვილის ქ. № 2).

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტი

(ძერჟინსკის ქ. № 8)

1956 წლის 8 მაისს დღის 1 საათზე ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად

თამაზ ვალერიანის-ძე გაბაშვილიძე

დაიცავს დისერტაციას თემაზე „არაინდოევროპული ელემენტები ხეთურ (ნესიტურ) ენაში“.

დისერტაციის გაცნობა შეიძლება ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში (ძერჟინსკის ქ. № 8) სამუშაო საათებში.

თბილისის სახელმწიფო ცირკი

28, 29, 30 აპრილს და 1, 2 მაისს

მოლოდინი 6 დღე

1956 წლის სეზონის დახურვა

იუმორის, სატირის, კლოუნადის

დიდი საღამოები

„მოდით და იცინეთ“

კლოუნები მაყურებელთა შორის, მაყურებლები მანეჟზე კლოუნთა შორის

მონაწილეობს 15 კლოუნი

დიდი საცირკო წარმოდგენა

3 განყოფილებად

მონაწილეობენ

საბჭოთა ცირკის საუკეთესო ოსტატები

დასაწყისი საღამოს 8 ს. 30 წ.

ორშაბათს 30 აპრილს, სამშაბათს 1 და ოთხშაბათს 2 მაისს

საადღესასწაულო საბავშვო წარმოდგენები

დასაწყისი 30 აპრილს და 2 მაისს

I — 12 ს. II — 3 ს.

1 მაისს დასაწყისი 3 ს.

ბილეთები იყიდება სალაროებში. მიიღება შეკვეთები კოლექტიურ დასწრებაზე.

მთავარი საფოსტო-ქარხანა სამმართველო და თბილისის საფოსტო-ქარხანა ქსელის თანამშრომლები იუწყებიან პროვიზორ

ივანე გიორგის-ძე დუმბაძეს

გარდაცვალებას.

სპორტის ამბები

ᲭᲘᲥᲝᲕᲚᲘᲡ ᲫᲐᲚᲘᲡᲜᲘᲗᲐ ᲡᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲝ ᲛᲔᲯᲘᲠᲘᲗᲔᲑᲐ

სტალინგრადი, 25 აპრილი. (საკდესი). აქ დამთავრდა სოფლის სპორტსმენთა სრულიად საკავშირო შეჯიბრება ძალოსნობაში, რომელიც სამ დღეს გასტანა. შეჯიბრებაში მონაწილეობა მიიღო 11 მოკავშირე რესპუბლიკის ასამდე წარმომადგენელმა.

პირველი ადგილი დაიკავა რუსეთის სფსრ გუნდმა, მეორე — საქართველოს სსრ გუნდმა, მესამე ადგილზე გამოვიდნენ უკრაინელი სპორტსმენები.

კონკურსს გარეშე გამოსულმა სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა სტალინგრადელმა ნ. საქსონოვმა ორივე ხელით აკვრაში დაამყარა მსუბუქი წონის ძალოსნის ახალი სრულიად საკავშირო რეკორდი. მან აკრა 153 კილოგრამი წონის შტანგა, რაც ორი კილოგრამით აღემატება სრულიად საკავშირო რეკორდს, რომელიც მანვე დაამყარა შარშან.

სპარტაკიადები

ჩვენი რესპუბლიკის სპორტსმენები წარმატებით ემზადებიან საქართველოს სპარტაკიადისათვის, რომელიც მომდინარე სასპორტო სეზონის ერთ-ერთი მასობრივი შეჯიბრება იქნება.

რესპუბლიკურ სპარტაკიადას წინ უძღვის სასპორტო საზოგადოებების, უმაღლესი სასწავლებლების, საფაბრიკო-საქარხნო, საქალაქო და სხვა სპარტაკიადები.

ამას წინათ დამთავრდა თბილისის უმაღლესი სასწავლებლებისა და ტექნიკუმების სტუდენტთა სპარტაკიადა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო ჩვიდმეტმა გუნდმა. სიერთო გამარჯვება მოიპოვა კიროვის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სპორტსმენთა კოლექტივმა.

მასობრივი და საინტერესო იყო თბილისის საფაბრიკო-საქარხნო სპარტაკიადა. ამ შეჯიბრებაში მუშა ახალგაზრდობამ კარგი მომზადება გამოამჟღავნა. მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა მისი სპორტული მაჩვენებლები. სპარტაკიადაში მონაწილე სპორტსმენთა კოლექტივებს შორის ყველაზე ძლიერი აღმოჩნდა თბილისის ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს გუნდი.

მეშახტეთა პირველი სპარტაკიადა 6 გუნდის მონაწილეობით გაიმართა თბილისში. ერთმანეთს პირველობას ეცილებოდა 200-მდე სპორტსმენი. პროგრამაში იყო ძლეოსნობა, ძალოსნობა, კალათბურთი, ფრენბურთი, მაგიდის ჩოგბურთი. ამ შეჯიბრებაში გამარჯვებული გამოვიდა ტყიბულის გუნდი.

დამთავრდა თბილისის მოსწავლეთა სპარტაკიადა 2.000-ზე მეტი სპორტსმენის მონაწილეობით. შეჯიბრების დღეებში დამყარებულ იქნა ახალი რეკორდები. მოსწავლეებმა სპორტული თანრიგი აიმაღლეს. საერთო პირველი ადგილი მოიპოვა სტალინის რაიონმა.

დაიწყო თბილისის საქალაქო სპარტაკიადა. პროგრამაშია სპორტის 21 სახე. პირველ დღეს გაიმართა შეხვედრები კალათბურთში, ფრენბურთში, ქართულ ჭიდაობაში, ფარიკაობაში. შეჯიბრება 10 მაისამდე გაგრძელდება.

სსრ კავშირის პირველობაზე
„ბ“ კლასი

გუშინ თბილისის „დინამოს“ სტადიონზე გაიმართა „ბ“ კლასის ფეხბურთელთა კოლექტივების მორიგი შეხვედრა. თამაშობდნენ ქ. ვორონეჟისა და თბილისის ოფიცერთა სხლის გუნდები.

შეჯიბრების პირველი ნახევარი თბილისელების უპირატესობით დაიწყო და ანგარიშიც მათ გახსნეს. რამდენიმე წუთის შემდეგ სტუმართა კარში მეორე ბურთი აღმოჩნდა. ამის შემდეგ ვორონეჟელ ფეხბურთელთა ერთ-ერთ შეტევა გოლით აღინიშნა. პირველი ტაიმი დამთავრდა თბილისელთა სასარგებლოდ 2:1.

მეორე ტაიმში მოწინააღმდეგეებმა ვერ გამოიყენეს ანგარიშის გადიდების მრავალი შესაძლებლობა. მატჩი დამთავრდა თბილისის ოფიცერთა სახლის გუნდის გამარჯვებით 2:1.

რედაქტორი ბ. ᲨᲘᲠᲪᲮᲐᲚᲐᲕᲐ.

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲝᲒᲐᲖᲔ

„ბ“ ᲙᲚᲐᲡᲘ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲓᲘᲜᲐᲛᲝᲡ

ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲗᲐ ᲡᲘᲐ

28, 29, 30 ᲐᲠᲘᲚᲘᲡ ᲓᲐ 1, 2 ᲛᲐᲘᲡᲘᲡ

ᲓᲦᲔᲡ 4 ᲡᲐᲐᲗᲘ

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ᲗᲔᲐᲢᲠᲘᲡ ᲛᲝᲠᲘᲒᲘ ᲒᲐᲛᲝᲜᲐᲗᲘ

ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲗᲐ ᲡᲘᲐ

**ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲝᲤᲘᲪᲘᲠᲗᲐ ᲡᲐᲮᲚᲘ